



## თოქშოუების საარჩევნო მედია მონიტორინგი

### 29 სექტემბერი - 12 ნოემბერი 2012

თოქშოუების საარჩევნო მონიტორინგი აკვირდება პრაიმტიმის დროს გასულ ყველა თოქშოუს, რომელიც პოლიტიკურ თემებს ეძღვნება. ვინაიდან ყველა არხზე არ გადის ასეთი ტიპის გადაცემები, დაკვირვების ქვეშ მოექცა შემდეგი არხები და თოქშოუები:

**საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე** - „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ და „აქცენტები ეკა კვესიტაძესთან ერთად“;

**მესტროზე** - „სუბიექტური აზრი“, წამყვანები: შალვა რამიშვილი და დიანა ტრაპაიძე; „პოლიტმეტრი“ - ნინო ჟიჟილაშვილი; „არგუმენტები“ - თეა სიჭინავა და „ჩვენ“ - თამარ ჩიქოვანი;

**კავკასიაზე** - „სტუდია სპექტრი“ - დავით აქუბარდია, „ბარიერი“ - ალექსანდრე ელისაშვილი და „ცხელი ხაზი“, რომელსაც მორიგეობით უძღვებიან ალექსანდრე ელისაშვილი, ზვიად ქორიძე და ნათია ორველაშვილი;

**მეცხრე არხზე** - „ახალკაცის მატრიცა“, „კონსილიუმი ვასილ მაღლაფერიძესთან“ და „ეკა ბერიძის მთავარი კითხვა“.

#### მეთოდოლოგია და ანალიზი

თოქშოუების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს მხოლოდ თვისებრივ კომპონენტს. მონიტორინგის დროს ხდება დაკვირვება მხოლოდ ჟურნალისტებზე

სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. ფასდება გადაცემაში ჟურნალისტების როლი და ჩართულობა. ჟურნალისტი უბრალოდ მოდერატორია, რომელიც მართავს პროცესს, თუ ცდილობს თავისი პოზიციის დაფიქსირებას. რამდენად აცდის თოქშოუს წამყვანი სტუმრებს აზრის გამოთქმას და როდის აწყვეტინებს საუბარს. ასევე, ხდება დაკვირვება, თუ რამდენად თანაბარ პირობებში აყენებს ჟურნალისტი სტუმრებს: ჟურნალისტის კითხვები რამდენად თანაბრად მომთხოვნი/ლმობიერია ყველა სტუმრის მიმართ და რამდენად ცდილობს ჟურნალისტი სტუმრებისგან სიღრმისეული ინფორმაციის მიღებას ჩაძიების გზით. მონიტორინგი ასევე აკვირდება თოქშოუებში სიმულვილის ენის (შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ფრაზების/განცხადებების) გამოყენებას ჟურნალისტების მხრიდან და მათ რეაგირებას სტუმრების მიერ სიმულვილის ენის გამოყენების შემთხვევებზე.

ანგარიშში მოცემულია 29 სექტემბრიდან - 12 ნოემბრის ჩათვლით გასული გადაცემების ანალიზი არხების მიხედვით.

## პირველი არხი

*პირველ არხზე მონიტორინგის ქვეშ მოხვდა ორი გადაცემა. ესენია: „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ და „აქცენტები ეკა კვესიტაძესთან ერთად“. ოქტომბრიდან დავით პაიჭაძის გადაცემა კვირაში სამჯერ - ორშაბათს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს გადის ეთერში, „აქცენტები“ კი, ყოველ სამშაბათსა და პარასკევს გადის.*

*ორივე გადაცემაში მოწვეული იყვნენ, როგორც მმართველი გუნდის წევრები, ასევე, ოპოზიციის წარმომადგენლები და ექსპერტები. ორივე ჟურნალისტი საკმაოდ აქტიურად არის ჩართული გადაცემაში. ცდილობენ ამომწურავი პასუხები მიიღონ დასმულ კითხვებზე და სტუმრებს აძლევენ საშუალებას ბოლომდე დააფიქსირონ თავისი აზრი.*

*ორივე ჟურნალისტის შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ხშირად, სტუმრების პოლიტიკურ მიკუთვნებულობასთან ერთად წამყვანის დამოკიდებულებაც საგრძნობლად იცვლება. ეს დასმულ კითხვებში, ირონიულ დამოკიდებულებასა და რეპლიკებში ჩანს. ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებს უფრო აქტიურ ოპონირებას უწევენ და ხშირად ეძიებიან მათ, ხოლო ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს ნაკლებად უწევენ ოპონირებას და არც მომთხოვნი ტონით გამოირჩევიან მათ მიმართ. თოქშოუ ყოველთვის ზომიერ და კორექტულ ფარგლებში მიმდინარეობს და შესაბამისად, არაკორექტულ გამონათქვამებს და სიძულვილის ენის გამოყენებას არ ვხვდებით არც ჟურნალისტის და არც სტუმრების მხრიდან.*

### „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“

ოქტომბრიდან „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ უკვე კვირაში სამჯერ გადის პირველ არხზე ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს საღამოს 10 საათზე.

თემების თვალსაზრისით გადაცემები მრავალფეროვანი იყო და ძირითადად, მიმდინარე აქტუალურ საკითხებს ეხებოდა. სტუდიაში განხილული იყო ისეთი საკითხები, როგორიცაა:

- არჩევნები და მისი შედეგები,

- ქართული ოცნების სამომავლო გეგმები,
- ქართული სამღვდლოების როლი ქართულ პოლიტიკაში,
- მარლთმსაჯულება,
- ამნისტია და მოსამართლეთა პასუხისგების საკითხი,
- სხვადასხვა სამინისტროებში არსებული მდგომარეობა და სამომავლო გეგმები,
- ახალი პარლამენტის პირველი დღე,
- ტელეკომპანია პიკის გათიშვა,
- პოლიტიკური რევანშიზმი,
- სამოქალაქო სექტორი საქართველოში,
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე საკითხები,
- ბაჩო ახალაიას და გიორგი კალანდაძის დაკავება,
- "ნატოსა" და საქართველოს ურთიერთობები,
- სახალხო დამცველის საკითხი და სხვა.

მონიტორინგის პერიოდში გასულ გადაცემებში მოწვეულნი იყვნენ როგორც ოპოზიციის, ასევე ახალი მმართველი გუნდის წევრები, ექსპერტები, მთავრობის წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები, სახალხო დამცველის კანდიდატები, უზენაესი სასამართლოს თავჯდომარე და სხვა. 29 სექტემბერი - 12 ნოემბრის პერიოდში გასულ გადაცემებში ოპოზიცია წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახით.

თოქშოუ ეხება აქტუალურ საკითხებს. ჟურნალისტი ცდილობს კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით საზოგადოებამ გაიგოს ყველა არსებული პოზიცია. გადაცემაში წარმოდგენილია სხვადასხვა პოზიციები საკითხის მიხედვით და თავის მხრივ პაიჭაძე ხშირად ცდილობს ოპონირება გაუწიოს სტუმრებს. როგორც წესი, პაიჭაძე თავის აზრს ღიად არ აფიქსირებს და უფრო მეტად მოდერატორის როლს ითავსებს, თუმცა მისი პოზიცია მაინც შესამჩნევია კითხვებისა და მიმიკის საშუალებით. წამყვანი საშუალო სიხშირითაა გადაცემაში ჩართული, მაგრამ ცდილობს დასვას ყველა ის შეკითხვა, რომელიც თემის გარშემო არსებობს.

თოქშოუმში სტუმრები ძირითადად თანაბარ მდგომარეობაში არიან. ყოველთვის, როდესაც ჟურნალისტი ვერ იღებს სიღრმისეულ ინფორმაციას ან სტუმრის საუბარი მისთვის გაუგებარია, იგი ეძიება მას და ცდილობს დაზუსტებული და კონკრეტული პასუხები მიიღოს დასმულ კითხვებზე. ამასთან, ჟურნალისტი ხშირად უწევს სტუმრებს ოპონირებას, რაც განსხვავებული აზრის დაფიქსირებით გამოიხატება.

მაგალითად, 17 ოქტომბრის გადაცემაში მან ეკა ბესელიას უთხრა: „თქვენ ბრძანეთ რო საქართველო არის პირველ ადგილზე პატიმართა რაოდენობით, თუმცა არის სხვა გამოკითხვები, რომლებიც ამბობენ რომ საქართველო არის სუაფრთო ქვეყანა ამ მხრივ და კრიმინალისგან თავისუფალი მათ შორის დედაქალაქი თბილისიც არის უსაფრთხო ქალაქი კრიმინალის მხრივ...“

ასევე, 21 ოქტომბერს, როდესაც კოკა გაბაშვილი გამოთქვამდა უკმაყოფილებას იმასთან დაკავშირებით, რომ უმრავლესობის წევრები ფეხზე არ წამოდგნენ როდესაც პრეზიდენტი შემოვიდა პარლამენტში, ჟურნალისტმა ოპონირება გაუწია მას:

„არც თქვენ დაგიკრიათ ტაში სპიკერის არჩევისათვის.“

თუმცა, აღსანიშნავია რომ სტუმრების პოლიტიკურ მიკუთვნებულობასთან ერთად წამყვანის დამოკიდებულებაც საგრძნობლად იცვლება. ხშირად ეს უფრო დასმულ კითხვებში, ირონიულ დამოკიდებულებაში, რეპლიკებში და ასევე, საკუთარი პოზიციის დაფიქსირებაში ჩანს. ხელისუფლების ახალ წარმომადგენლებს უფრო აქტიურ ოპონირებას უწევს და ხშირად ეძიება მათ, ხოლო ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს ნაკლებად უწევს ოპონირებას და არც მომთხოვნი ტონით გამოირჩევა. მაგალითად, დავით უსუფაშვილისადმი უფრო კრიტიკულია ვიდრე კოკა გაბაშვილის ან პავლე კუბლაშვილის მიმართ. საკმაოდ კრიტიკულ, მომთხოვნ, რიტორიკულ და ამავდროულად ირონიანარევი შეკითხვებს სვამს.

4 ოქტომბრის გადაცემაში ჟურნალისტი მეტნაკლებად აქტიურად არის ჩართული ის თავის პოზიციას აშკარად არ აფიქსირებს, თუმცა მაინც შეიმჩნევა მისი კრიტიკული დამოკიდებულება ქართული ოცნების წარმომადგენლის მიმართ (დავით ბერძენიშვილი) და შედარებით ლოიალური დამოკიდებულება გია ნოდის მიმართ. სტუმრები არათანაბარ

მდგომარეობაში არიან, ბერძენიშვილს ხშირად აწყვეტინებს საუბარს, საწინააღმდეგო მოსაზრებებს აფიქსირებს და უფრო მომთხოვნია მის მიმართ. კითხვებსაც ირონიულად სვამს: „თქვენ ელოდით, რომ ბათუმში გაიმარჯვებდა თქვენგან გარიცხული მურმან დუმბაძე?“

ასევე, 17 ოქტომბრის გადაცემაში, სადაც სტუმრები იყვნენ ეკა ბესელია (ქართული ოცნება) და ეკა ხერხეულიძე (ნაციონალური მოძრაობა) კითხვები ძირითადად იყო ბესელიას მისამართით, ხერხეულიძეს ძირითადად უწევდა პოზიციის დაფიქსირება და კომენტარების კეთება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გადაცემაში ბესელიამ უფრო მეტი ხნის განმავლობაში ისაუბრა. ერთ ეპიზოდში კი, როდესაც ბესელიას ოპონენტისთვის პასუხის გაცემა უნდოდა დიდი ხანი ცდილობდა დაეწყო საუბარი, მაგრამ პაიჭაძე არ აცდიდა, ეუბნებოდა, რომ დრო არ იყო საკმარისი. ბოლოს, მისცა საშუალება მას ესაუბრა და როცა ბესელიამ საუბარი დაასრულა ხერხეულიძემაც გამოთქვა პასუხის გაცემის სურვილი, რაც წამყვანს არ გაუპროტესტებია და მისცა სიტყვა. ამას ბესელიას უკმაყოფილო რეპლიკა მოჰყვა.

ამ კუთხით შეიძლება მაგალითად მოვიყვანოთ, აგრეთვე, 18 ოქტომბრის გადაცემა, სადაც სტუმრად იყვნენ გენერალური პროკურორობის კანდიდატი არჩილ კბილაშვილი და უფლებადამცველი თამარ გურჩიანი. ამ გადაცემაში დავით პაიჭაძე მხოლოდ მოდერატორის როლს ასრულებდა და საკუთარ შეფასებებს არ აკეთებდა. თუმცა, მეორეს მხრივ, 2 ოქტომბრის გადაცემაში, როდესაც სტუმრად იყვნენ სოციოლოგები იაგო კაჭკაჭიშვილი და ემზარ ჯგერენაია, წამყვანი იაგო კაჭკაჭიშვილს უფრო უწევდა ოპონირებას, რომელსაც უფრო კვალიცა ქართული ოცნების მხარდამჭერი პოზიცია ეკავა.

თოქშოუ ყოველთვის ზომიერ და კორექტულ ფარგლებში მიმდინარეობს და შესაბამისად, არაკორექტულ გამონათქვამებს და სიძულვილის ენის გამოყენებას არ ვხვდებით არც ერთი მხრიდან.

### ***„აქცენტები ეკა კვესიტაძესთან ერთად“***

„აქცენტები“ პირველი არხის ყოველკვირეული თოქშოუა, რომლის წამყვანიც ეკა კვესიტაძეა. გადაცემა ყოველ სამშაბათსა და პარასკევს საღამოს 10 საათზე გადის. აღსანიშნავია, რომ 14

ოქტომბრამდე გადაცემა კვირაში მხოლოდ ერთხელ, კვირა დღეს გადიოდა. თუმცა, 14 ოქტომბრის შემდეგ თოქშოუ დაახლოებით ორი კვირის მანძილზე აღარ გასულა ეთერში და 30 ოქტომბრიდან ახალი დროით კვირაში ორჯერ განაახლა გამოშვებები. „აქცენტებში“ ჩვეულებრივ სტუდიაში რამდენიმე სტუმარია მოწვეული, ხდება პირდაპირი ჩართვებიც. მთლიანობაში გადაცემა საშუალოდ საათნახევარს გრძელდება. მონიტორინგის პერიოდში „აქცენტებში“ განიხილეს შემდეგი თემები:

- არჩევნები (არჩევნების წინა დღე, წინასაარჩევნო გარემოს შეჯამება),
- ომბუცმენის არჩევის საკითხი,
- საქართველო-რუსეთის ურთიერთობები,
- რელიგიური დაპირისპირება სოფელ ნიგვზიანში,
- რუსთავის საპრობილეში არსებული პრობლემები,
- მომავალი წლის ბიუჯეტი,
- ბაჩო ახალაიას დაპატიმრება,
- საპრეზიდენტო არჩევნები ამერიკაში,
- საზოგადოებრივ მაუწყებელში შემოსავლების სამსახურის შესვლა,
- ნატოს სამხედრო კომიტეტის საქართველოში ვიზიტის გადადება.

მონიტორინგის პერიოდში თოქშოუში მოწვეულნი იყვნენ როგორც ოპოზიციის, ასევე მთავრობისა და მმართველი გუნდის წევრები, ექსპერტები, მედიის წარმომადგენლები, ომბუცმენობის კანდიდატები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დიპლომატიური კორპუსის ყოფილი წევრები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და სხვა. არჩევნების შემდგომ ოპოზიცია, ძირითადად, წარმოდგენილი იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სახით. მხოლოდ არჩევნებამდე, 30 სექტემბრის გადაცემას სტუმრობდნენ ოპოზიციის სხვა წარმომადგენლები: შალვა ნათელაშვილი (ლეიბორისტული პარტია) და გიორგი თარგამაძე (ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა).

გადაცემებში უმეტესად წარმოდგენილია განსხვავებული პოზიციის რესპონდენტები და საკითხთან დაკავშირებით არსებული რამდენიმე მოსაზრება. არის შემთხვევები, როცა წამყვანი ასახელებს რომელიმე მხარის არყოფნის მიზეზს. თუმცა, ამის მიუხედავად, რიგ

გადაცემებში იგრძნობა, რომ ჟურნალისტი არაა უბრალოდ მოდერატორი და საკუთარ პოზიციასაც გამოხატავს.

არჩევნების წინა დღეს ეკა კვესიტაძემ ყველა პარტიის ლიდერსა და კვალიფიციურ სუბიექტს მისცა საშუალება, კიდევ ერთხელ მიემართა ამომრჩევლისთვის. მან გადაცემის დასაწყისშივე გამოაცხადა, რომ ყველა პარტიის წარმომადგენელს დაახლოებით 17 წუთი ექნებოდა და ეს ბალანსი დაცული იყო.

ეკა კვესიტაძის კითხვები არ არის თანაბრად მომთხოვნი ყველა სტუმრის მიმართ. ზოგჯერ ის უფრო მეტად კამათობს ერთ სტუმართან, რაც აჩენს ეჭვს, რომ ჟურნალისტი სუბიექტურია. თუმცა, გვხვდება გადაცემები, სადაც ჟურნალისტი ობიექტურია და მხოლოდ საკითხის გარშემო კითხვების დასმით შემოიფარგლება. სტუმრებს არ ზღუდავს. ძირითადად არ აწყვეტინებს საუბარს. თუმცა, მონიტორინგის პერიოდში რამდენიმე შემთხვევა გამოვლინდა, როცა ზოგ სტუმარს საკმაოდ ხშირად აწყვეტინებდა საუბარს. არ იყენებს სიძულვილის ენას. სანდო წყაროებზე დაყრდნობით საუბრობს, თუკი რაიმე დაუზუსტებელი წყაროდან იცის, თავად მას ეკითხება.

ეკა კვესიტაძე ყოველთვის აქტიურადაა ჩართული გადაცემაში. მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში ცდილობს, მხოლოდ კითხვების დასმით შემოიფარგლოს, მაინც ცხადი ხდება რიგ შემთხვევებში მისი დამოკიდებულება.

მაგალითად, 7 ნოემბრის გადაცემაში ის რამდენჯერმე აფიქსირებს თავის პოზიციას. ზოგადად უნდა ითქვას, რომ ჟურნალისტის კითხვებსა და გარკვეულწილად აზრის დაფიქსირებას არ გაეხმებოდა ხაზი, თუკი ის ორივე პოზიციის სტუმრების მიმართ თანაბრად მომთხოვნი იქნებოდა, რაც არ გვხვდება. ის კამათში შედის მხოლოდ ახალი ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილ პირებთან, რაც ნაკლებად შეინიშნება მეორე მხარესთან. გადაცემის პირველ ბლოკში კვესიტაძე ამბობს: „რადგან დასავლეთი პოლიტიკური ნიშნის მიხედვით დაჭერებს უყურებს ძალიან ცალსახად; იმ ქვეყნებში, სადაც



ხდება პლიტიკური ნიშნით დაჭერა, რომელიც დაიწყო უკვე საქართველოში, იქ დემოკრატის უკვე განაჩენი გამოტანილი აქვს.“

იმავე გადაცემის მეორე ბლოკში კვესიტაძე ეკითხება მანანა კობახიძეს, რომ მოწმე, რომელმაც ჩვენება მისცა ახალაის წინააღმდეგ შეიძლება ტყუოდეს. ამაზე კობახიძე პასუხობს, რომ მოწმე ვერ მოიტყუებს, რადგან ის არის გაფრთხილებული სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისად. ამ დროს კვესიტაძეს ირონიულად ელიმება და მისი სახის გამომეტყველებით ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ის არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. ეს ეჭვი რამდენიმე წამში დასტურდება შემდეგი სიტყვებით: „ხო, მაგრამ ეს გარანტია არ არის, ქალბატონო მანანა, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, ხომ?... უკაცრავად, თქვენ რა, არ შეგხვედრიათ თქვენს პრაქტიკაში მოწმეები, რომლებიც იტყუებიან ან არ შეგხვედრიათ თქვენი კოლეგების პრაქტიკაში? რა თქმა უნდა, შეგხვედრიათ, დიახ!“

გადაცემაში მიწვეული სტუმრები ზოგ შემთხვევაში თანაბარ მდგომარეობაში არიან, მაგრამ ზოგჯერ შეიმჩნევა მეტი კრიტიკულობა ახალი მთავრობის წარმომადგენლების მიმართ და ნაკლები კრიტიკულობა მათ ოპონენტებთან მიმართებაში. ეს გამოიხატება როგორც კითხვების შინაარსში, ასევე რესპონდენტებისთვის პასუხის გაცემის საშუალების მიცემაში.

ძირითადად, წამყვანი ცდილობს არ ჩაეჭრას სტუმრებს საუბარში და არ შეაწყვეტინოს მათ მსჯელობა. თუმცა, ასეთი შემთხვევები მაინც დაფიქსირდა. მაგალითად, 6 ნოემბრის გადაცემაში წამყვანი მეტად აწყვეტინებს საუბარს ნოდარ ხადურს და სთხოვს მას დაასრულებინოს შეკითხვა, ხოლო ხადური თავის მხრივ მოითხოვს, რომ ჟურნალისტმა დაასრულებინოს მას აზრის გამოთქმა. 11 ნოემბრის გადაცემაში წამყვანი სტუმრებიდან მხოლოდ გია ხუხაშვილს აწყვეტინებდა საუბარს ძირითადად იმის გამო, რომ დამაზუსტებელი შეკითხვა დაესვა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხუხაშვილმა საერთოდ უარი განაცხადა საუბარზე, სანამ წამყვანი არ დაჰპირდა, რომ საუბარს აღარ შეაწყვეტინებდა. 7 ნოემბრის გადაცემაში სტუმარი ნინია კაკაბაძე საკმაოდ კრიტიკული იყო ძველი ხელისუფლებისადმი, რაზეც კვესიტაძემ საუბარი შეაწყვეტინა: „კი, ბატონო, მოვისმინეთ ძველი ხელისუფლების კრიტიკა, ახალი ხელისუფლების პირობებში რა პერსპექტივა გვაქვს?“

წამყვანი საკმაოდ მომთხოვნი და კრიტიკულია ახალი მთავრობის მიმართ. მაგალითად, 14 ოქტომბრის გადაცემაში საკმაოდ მწვავე შეკითხვებს უსვამს თინა ხიდაშელს: „საზოგადოების დიდი ნაწილის პროტესტი გამოიწვია მურმან დუმბაძის დასახელებამ ვიცესპიკერის თანამდებობაზე იმიტომ, რომ ამ ადამიანმა რითიც დაამახსოვრა თავი ქართულ საზოგადოებას, იყო მისი ცნობილი წყევლა, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, როცა 5 ნომერს შემოხაზავდა, რომ მარჯვენა ხელზე კიბო გაუჩნდებოდა. ხოლო თუ მარცხენა ხელით, ინფექცია დაემართებოდა. ეს ადამიანი ასევე გახდა ცნობილი საზოგადოებისთვის აზიზიას მეჩეთის წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციების ორგანიზებით. ეს იყო ადამიანი, რომელიც სწორედ ამ ფუნდამენტურ საკითხზე განსხვავებული მოსაზრების გამო გაუშვით პარტიიდან. თქვენ პირადად, თინა ხიდაშელი, დავით უსუფაშვილი, როგორ შეხვდა ამ საკადრო გადაწყვეტილებას?“

იმავე 14 ოქტომბრის გადაცემაში წამყვანის კითხვები ასევე მომთხოვნი და კრიტიკულია გია ხუხაშვილის მიმართ. კვესიტაძე: „ბატონმა ივანიშვილმა არ უარყო, ყოველ შემთხვევაში იყო ერთი ნაწილი მისი განცხადებებისა, სადაც ის ამბობდა, რომ შესაძლოა ეს ჩანაწერები, რომლებიც არჩევნებამდე გამოქვეყნდა, იყო მართალი და ამაში ტრაგიკულს ვერაფერს ხედავდა. მაგრამ ფიქრობთ თუ არა, რომ ამ ჩანაწერების შემდეგ საზოგადოებაში გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ კოალიციაში წამყვან ფიგურებს შორის ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა არ არის, რბილად რომ ვთქვათ, და ამ ჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ გაჩნდა თუ არა უფრო დიდი პრობლემები თვითონ კოალიციის შიგნით?“

წამყვანი სტუმრებს ეძიება დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და ზოგ შემთხვევაში ოპონირებას უწევს განსხვავებული აზრის დასაფიქსირებლად. თუმცა, ეს ოპონირება ძირითადად ახალი მთავრობის ან კოალიციის წარმომადგენლების შემთხვევაში ფიქსირდება. 30 ოქტომბრის გადაცემაში სტუმარი ეკა ბესელია ამბობს, რომ აზიზიას მეჩეთთან დაკავშირებით ხელისუფლება არაფერს ეკითხებოდა საპატრიარქოს. კვესიტაძე კი განსხვავებულ აზრს აფიქსირებს: „4 წელი მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და ამ მოლაპარაკებებში ჩართული იყო საპატრიარქო ნამდვილად. ეს არის ფაქტი.“ იმავე გადაცემაში დავით ზურაბიშვილი ამბობს, რომ არცერთ ქვეყანაში არ არის პოპულარული

სექსუალური უმცირესობები. კვესიტაძე ამბობს პასუხად: „ობამა გამოვიდა და თქვა, რო ის მომხრეა ერთსქესიანი ქორწინების და ამას მისი რეიტინგის კლება არ მოყოლია.“

6 ნოემბრის „აქცენტებში“, რომელიც მომავალი წლის ბიუჯეტს ეხებოდა, საკმაოდ მწვავე დებატები გაიმართა და განსხვავებული მოსაზრებები დაფიქსირდა. თუმცა, შეინიშნებოდა, რომ გადაცემის წამყვანი მეტად უწევდა ოპონირებას ნოდარ ხადურს. ზურაბ ჭიაბერაშვილს მან მხოლოდ რამდენიმე კითხვა დაუსვა.

იმავე დღის გადაცემის მეორე ბლოკი ბაჩო ახალაიას დაკავებას ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ წამყვანმა პირდაპირ ეთერში ჩართო პროკურატურის მიმდებარე ტერიტორია და თეა თუთბერიძე, რომელიც ბაჩო ახალაიას დაკითხვის პროცესის შესახებ საუბრობდა. ამის საპასუხოდ წამყვანს არ წარმოუდგენია ალტერნატიული წყარო, რომელიც თუთბერიძის საპირწონე ინფორმაციას მიაწვდიდა მაყურებელს. შესაბამისად, ეს საკითხი გადაცემაში ცალმხრივად გაშუქდა.

„აქცენტების“ წამყვანი სიძულვილის ენას არ იყენებს. გადაცემა ყოველთვის წინასწარ გამოცხადებული თემის გარშემო მიმდინარეობს და სტუმრებიც თემების შესაბამისები არიან. რაიმე ინფორმაციის მოწოდებისას წამყვანი ასახელებს ინფორმაციის წყაროს. რაც შეეხება ეკა კვესიტაძის არავერბალურ ენას, მის მიმიკაში შეიმჩნევა ირონია და სკეპტიციზმი ხელისუფლების წარმომადგენლების პასუხების მიმართ. მაგალითად, 7 ნოემბრის გადაცემის მეორე ბლოკში, როდესაც კვესიტაძე მანანა კობახიძეს ეკითხება, რომ მოწმე, რომელმაც ჩვენება მისცა ახალაიას წინააღმდეგ, ხომ შეიძლება ტყუოდესო, კობახიძე პასუხობს, რომ მოწმე ვერ მოიტყუებს, რადგან ის არის გაფრთხილებული სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისად. ამ დროს კვესიტაძეს ირონიულად ელიმება და მისი სახის გამომეტყველებით ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ის არ ეთანხმება ამ მოსაზრებას.

## მაესტრო

მაესტროზე მონიტორინგი უკეთდება 4 თოქშოუს: „სუბიექტური აზრი“ - შალვა რამიშვილის და დიანა ტრაპაიძის ავტორობით, „პოლიტმეტრი“, რომელსაც ნინო ჟიჟილაშვილი უძღვება, „არგუმენტები“ თეა სიჭინავასთან ერთად და „ჩვენ“, რომელიც თამარ ჩიქოვანს მიჰყავს. ჩამოთვლილთაგან პირველი სამი ყოველდღიურად გადის მაესტროს ეთერში. გადაცემა „ჩვენ“, კი მხოლოდ კვირაში ერთხელ.

„სუბიექტურ აზრში“ სტუმრად, ძირითადად, ახალი ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი სტუმრები არიან არჩეული. მოწვეულ სტუმრებს შორის თვალშისაცემი იყო ქართული ოცნებისა და მთავრობის წევრების შედარებითი სიჭარბე. გადაცემის მსვლელობისას ორივე ჟურნალისტი საკმაოდ აქტიურად არის ჩართული დისკუსიაში, ამ კუთხით შალვა რამიშვილი უფრო გამოირჩევა. თოქშოუს სათაურიდან გამომდინარე წამყვანები არ მალავენ თავიანთ სუბიექტურ აზრს და გადაცემის მსვლელობისას ბევრჯერ, ღიად აფიქსირებენ მას. შალვა რამიშვილი უფრო ხშირად და ღიად აფიქსირებს თავის პოლიტიკურ სიმპათიებს, დიანა ტრაპაიძე, კი შედარებით უფრო თავშეკავებულია. ამასთან, შალვა რამიშვილი ნაკლებად ასახელებს მის მიერ გაჟღერებული ინფორმაციის წყაროებს. თუმცა, მეორესმხრივ, დიანა ტრაპაიძე ცდილობს, თითქმის ყველა შემთხვევაში, მოიშველიოს გარკვეული სახის დოკუმენტაცია. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა მიკუთვნების სტუმრები გადაცემაში არათანაბარ მდგომარეობაში არიან და წამყვანების კრიტიკული დამოკიდებულება ამ მხრივ ტენდენციურია.

„პოლიტმეტრში“ მონიტორინგის პერიოდში სტუმრებს შორის არიან როგორც ახალი მთავრობისა და უმრავლესობის, ასევე ყოფილი ხელისუფლებისა და უმცირესობის წევრები და სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. წამყვანი, უმეტესად, თანაბარი კრიტიკულობითა და მომთხოვნით კითხვებით გამოირჩევა როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური პარტიების მიმართ, ასევე არაპოლიტიკური სუბიექტების მიმართ, რომლებსაც გადაცემის მესამე ნაწილში იწვევს. თუმცა, ზოგჯერ შეინიშნება წამყვანის მხრიდან მეტი კრიტიკა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მათ მიმართ ლოიალურად განწყობილი პირებისადმი. რიგ შემთხვევებში წამყვანი ცდილობს, თავად გაუწიოს ოპონირება გადაცემის სტუმარს და მისგან განსხვავებული პოზიცია დააფიქსიროს. საკუთარ პოზიციას

წამყვანი თითქმის არასოდეს აფიქსირებს. მხოლოდ ძლიან იშვიათად ჩანს მისი უნდობლობა რესპონდენტების პასუხების მიმართ და ირონია.

სექტემბრიდან „არგუმენტებთან“ ერთად ეთერში გადის „კვირის არგუმენტები“, რომელიც განსხვავებული ფორმატისაა და მასში უფრო მეტი სტუმარია მოწვეული. ასევე გადაცემაში ერთვება დარბაზი და მაყურებელი. აღსანიშნავია, რომ ფორმატის სხვაობასთან ერთად განსხვავებულია წამყვანის ქცევა „არგუმენტებსა“ და „კვირის არგუმენტებში“. „არგუმენტებში“ თეა სიჭინავა მეტად უწევს ოპონირებას სტუმრებს, ხოლო „კვირის არგუმენტებში“ უფრო მოდერატორის როლს ასრულებს. შესაბამისად, „არგუმენტებში“ უფრო ხშირია პირდაპირ ან ირიბად წამყვანის მხრიდან საკუთარი პოზიციის გამჟღავნება. იმ სტუმრებს, რომლებიც მისგან განსხვავებულ პოზიციას იზიარებენ, წამყვანი მეტად უწევს ოპონირებას. ორივე ფორმატის გადაცემაში თეა სიჭინავა აქტიურადაა ჩართული, სტუმრებს უსვავს აქტუალურ კითხვებს, რომლებიც ხან მომთხვენია, ხან ლმობიერი, და ასევე ხშირად ებიება მათ ინფორმაციის დასაზუსტებლად.

რაც შეეხება გადაცემას „ჩვენ“, მონიტორინგის პერიოდში გადაცემას არავინ სტუმრობდა მთავრობიდან ან რომელიმე პოლიტიკური პარტიიდან. გადაცემაში ჟურნალისტი და სტუმრები, მეტწილად, ერთსა და იმავე პოზიციას იზიარებენ, რაც უმეტესად ყოფილი ხელისუფლებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩევა. ჟურნალისტი ლმობიერია მათ მიმართ, არ აწყვეტინებს საუბარს, აცდის აზრის დასრულებას და იშვიათად ებიება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ჟურნალისტის დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში, ჩანს დასმულ კითხვებსა და მისი არავერბალური ენის გამოყენების დროს.

### *„სუბიექტური აზრი“ (შალვა რამიშვილი და დიანა ტრაპაიძე)*

„სუბიექტური აზრი“ მაესტროს თოქშოუა, რომელიც ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით ყოველდღე გადის საღამოს 8 საათსა და 5 წუთზე და მისი წამყვანები არიან შალვა რამიშვილი და დიანა ტრაპაიძე (გამონაკლისს წარმოადგენდა 12 ნოემბრის გადაცემა, როცა წამყვანებს ზაზა ხუციშვილი ცვლიდა). თოქშოუ ორი ნაწილისგან შედგება. პირველ ნაწილში

მოწვეულია „თანაწამყვანი“ და გადაცემა დიალოგის რეჟიმში მიმდინარეობს. ხოლო, მეორე ნაწილში უკვე სტუმარია, რომელიც უშუალოდ სტუდიაში ზის ან ხდება მასთან პირდაპირი ჩართვა. თუმცა ხანდახან გადაცემა მხოლოდ პირველი ბლოკისგან შედგება.

მონიტორინგის პერიოდში გასულ გადაცემებში განხილულ იქნა შემდეგი თემები:

- არჩევნები (წინასაარჩევნო პერიოდი, არჩევნების დღე, შედეგები),
- ახალი მთავრობა,
- მედია (მედიის თავისუფლება, ცვლილებები მედია სივრცეში, ტელეკომპანია ”პიკის“ დახურვა),
- პარლამენტის პირველი სხდომა,
- 26 მაისის დარბეული აქცია,
- ყოფილი ხელისუფლების წევრები,
- სახალხო დამცველის საკითხი,
- ბუნებრივი რესურსების მოხმარებასთან დაკავშირებული პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხები,
- ბაჩო ახალაიას დაბრუნება და დაპატიმრება,
- მასობრივი ამნისტიის საკითხი,
- საგარეო ურთიერთობები (ნატოსთან ურთიერთობა, რუსეთთან ურთიერთობა) და სხვა.

მონიტორინგის პერიოდში „თანაწამყვანები“ იყვნენ: კახი კახიშვილი (საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრი), გიორგი მარგველაშვილი (განათლებისა და მეცნიერების მინისტრი), ეკა გიგაური (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო), ია ანთაძე (ჟურნალისტი), თამარ ცაგარეიშვილი (ჟურნალისტი), სოსო გალუმაშვილი (PR-ის სპეციალისტი), ირმა სოხაძე (მომღერალი), ლალი მოროშკინა (სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე).

გადაცემის მეორე ნაწილში მოწვეულ სტუმრებს შორის შედარებით ჭარბობდნენ კოალიცია ქართული ოცნების წევრები და ახალი მთავრობის წარმომადგენლები. „სუბიექტური აზრს“,

ასევე, სტუმრობდნენ: ექსპერტები, მედიის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადო მოღვაწეები და სხვები.

თოქშოუ უფრო დიალოგის და დისკუსიის რეჟიმში მიდის, განსაკუთრებით მისი პირველი ნაწილი. გადაცემის მსვლელობისას ორივე ჟურნალისტი საკმაოდ აქტიურად არის ჩართული დისკუსიაში. ისინი, ძირითადად, არ უწევენ ოპონირებას სტუმრებს განსხვავებული პოზიციიდან და მთელი გადაცემის მანძილზე სტუმრებთან ერთად საუბრობენ და განიხილავენ თემებს. გადაცემის მსვლელობისას შალვა რამიშვილი თითქმის არ სვამს კითხვებს, ეს ფუნქცია უფრო მეტად დიანა ტრაპაიძეს აქვს შეთავსებული. თოქშოუს სათაურიდან გამომდინარე წამყვანები არასოდეს მალავენ თავიანთ სუბიექტურ აზრს და გადაცემის მსვლელობისას ბევრჯერ, ღიად აფიქსირებენ მას.

ამ თვალსაზრისით შალვა რამიშვილი, თავის კოლეგასთან შედარებით, უფრო მეტად აქტიურობს. თუმცა, თუ მივაქცევთ ყურადღებას იმას, რომ დიანა ტრაპაიძე, ისევე როგორც შალვა რამიშვილის, ხშირ შემთვევაში, არ უწევს სტუმრებს ოპონირებას განსხვავებული პოზიციიდან და ამასთან სტუმრები, ძირითადად, მსგავსი პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანები არიან და გამუდმებით აკრიტიკებენ ყოფილ ხელისუფლებას, აქედან გამომდინარე მისი პოზიციაც და მისი დამოკიდებულებაც სხვადასხვა საკითხების მიმართ ადვილად შესამჩნევია. დიანა ტრაპაიძის პოზიცია, ძირითადად, მის რიტორიკულ კითხვებშიც იკვეთება.

ძალიან ნათლად ჩანს წამყვანების უარყოფითი დამოკიდებულება ყოფილი მინისტრების, ე.წ. ძველი მთავრობისა და პრეზიდენტის მიმართ. და მეორესმხრივ, დადებითი დამოკიდებულება ახალი მთავრობისა და კოალიცია ქართული ოცნების წევრების მიმართ. მათი საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულება საქართველოს პრეზიდენტისა და ერთიანი ნაციონალური პარტიის მიმართ არაერთხელ იკვეთება მათ მსჯელობაში. ხშირია ირონიული და ცინიკური მსჯელობები ჟურნალისტების მხრიდან. საბოლოო ჯამში გადაცემები ძირითადად ერთი მიმართულებით მიდის: ყოფილი ხელისუფლების კრიტიკა და ახალი ხელისუფლების მიმართ დადებითი და ლმობიერი დამოკიდებულება.

წამყვანები, ასევე, ღიად აფიქსირებდნენ საკუთარ პოზიციას სახალხო დამცველის თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატურების შესახებ და არ მალავდნენ საკუთარ სიმპატიებსა თუ ანტიპატიებს მათ მიმართ.

სხვადასხვა მიკუთვნების სტუმრები გადაცემაში ხშირად არათანაბარ მდგომარეობაში არიან. წამყვანები კრიტიკულები არიან ოპოზიციური პარტიებისა და შეხედულებების მქონე სტუმრების მიმართ. ირონიაც ძალიან ხშირია მათ მიმართ. ჟურნალისტების მიერ დასმული კითხვები ზოგ სტუმრებთან საკმაოდ ლმობიერია. როდესაც გადაცემის რომელიმე სტუმრის შეხედულებები არ ემთხვევა შალვა რამიშვილის პოზიციას, ასეთ დროს რამიშვილი მის მიმართ მეტად კრიტიკულია და სიღრმისეული ინფორმაციის მოპოვებას ჩაძიების გზით ცდილობს. ამასთან ოპონირებას უწევს და განსხვავებულ აზრს აფიქსირებს. შესაბამისად, ასეთ დროს, კითხვებიც საკმაოდ მწვავე და მომთხოვნია.

წამყვანები, ძირითადად, აცდიან გადაცემის სტუმრებს აზრის გამოთქმას და აძლევენ მათ საუბრის საშუალებას. თუმცა, ხშირია შემთხვევები, როდესაც აწყვეტინებენ მათ საუბარს. ძირითადად იმისთვის, რომ საკუთარი მოსაზრება დააფიქსირონ, რომელიც უმეტეს შემთხვევაში სტუმრის მოსაზრების გაგრძელებას წარმოადგენს, და არა იმისთვის, რომ სტუმარს შეეწინააღმდეგონ ან რაიმე მწვავე კითხვა დაუსვან. ასევე, ხშირია შემთხვევები, როდესაც წამყვანები სტუმრის საუბრის პარალელურად თავადაც ერთვებიან მის საუბარში. ხანდახან ჟურნალისტებიც და მათი სტუმრებიც ერთ ხმაში საუბრობენ. მაგალითად, 4 ოქტომბერს, როდესაც თანაწამყვანი იყო გიორგი მარგველაშვილი, სტუმარი და ორივე ჟურნალისტი, ხშირ შემთხვევაში, ერთ ხმაში მსჯელობენ. ორივე ჟურნალისტი განსაკუთრებით აქტიურ დებატებში იყვნენ ჩართულნი.

მონიტორინგის ამ პერიოდში გასულ გადაცემებში (29 სექტემბერი - 12 ნოემბერი) სიძულვილის ენაზე საუბარს ადგილი არ ჰქონია, არც სტუმრების და არც ჟურნალისტების მხრიდან. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, არაკორექტულ გამონათქვამებს შალვა რამიშვილი ხშირად იყენებდა, რაზეც დიანა ტრაპაიძე, როგორც წესი, არანაირ შენიშვნას არ აძლევდა მას.



აღსანიშნავია, რომ შალვა რამიშვილი ნაკლებად ასახელებს მის მიერ გაჟღერებული ინფორმაციის წყაროებს. თუმცა, მეორესმხრივ, დიანა ტრაპაიძე ცდილობს, თითქმის ყველა შემთხვევაში, მოიშველიოს გარკვეული სახის დოკუმენტაცია და იქიდან გამომდინარე გაავრცელოს კონკრეტული ინფორმაცია ან დასვას კითხვა. თუმცა, არის გამონაკლისი შემთხვევებიც. მაგალითად, 16 ოქტომბრის „სუბიექტური აზრი“ გამოირჩეოდა იმით, რომ წამყვანები დაუზუსტებელი ინფორმაციის გადამოწმებას რამდენიმე წყაროსგან შეეცადნენ. მათ, ასევე, დაასახელეს იმ ინფორმატორების ვინაობა, რომელთაგანაც მათ ტელეკომპანია „იმედი“-ს პატარკაციშილებისათვის გადაცემის შესახებ ინფორმაცია მიიღეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ გადაცემაში განხილული საკითხები მხოლოდ ერთი კუთხით არ წარმოუჩენიათ, მოისმინეს განსხვავებული აზრიც, რომელსაც აკაკი გოგიჩაიშვილი წარმოადგენდა. ამასთან, მისცეს სტუმარს საშუალება გამოეთქვა თავისი მოსაზრება ბოლომდე.

ვინაიდან წამყვანები იშვიათად აანონსებენ წნასწარ გადაცემის მთავარ თემას, გადაცემაში ერთ კონკრეტულ თემაზე საუბარი თითქმის არასდროს მიმდინარეობს. წამყვანების და მათი სტუმრების რამდენიმე თემას განიხილავენ. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გადაცემის მთავარი თემა მოვლენების განვითარების გამო იცვლება, მაგალითად 16 ოქტომბრის გადაცემაში დიანა ტრაპაიძეს სურდა გადაცემის მთავარი თემა მინისტრთა ახალი კაბინეტი ყოფილიყო, თუმცა „იმედის“ გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა გადაცემის მთავარი თემა თავისთავად შეცვალა.

### **„პოლიტმეტრი“**

„პოლიტმეტრი“ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ყოველდღე გადის საღამოს 10 საათსა 20 წუთზე და მისი წამყვანია ნინო ჟიჟილაშვილი. გადაცემა სამი ნაწილისგან შედგება, თითოეულში თითო სტუმარი ზის სტუდიაში. ჩვეულებრივ, თოქშოუს მეორე ნაწილში ხდება პირდაპირი ჩართვა კიდევ ორ სტუმართან, რომლებიც სხვადასხვა მხარეს წარმოადგენენ და გადაცემა უფრო დებატების ფორმატში გადადის. გადაცემის მესამე ნაწილი კი არაპოლიტიკოსების მიერ მიმდინარე მთავარი მოვლენების შეფასებას ეთმობა.

29 სექტემბრიდან-12 ნოემბრამდე პერიოდში „პოლიტმეტრში“ შემდეგი თემები განიხილეს:

- კოალიცია ქართული ოცნების აქციის შეფასება,
- არჩევნების შედეგები და შეფასებები,
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციაში,
- ახალი მთავრობა და მისი სამომავლო გეგმები,
- ივანიშვილის შეხვედრა ბიზნესმენებთან და პრეზიდენტთან,
- აქცია „ასავალ-დასავალის“ ოფისთან,
- თბილისის მერიის მიერ უსაფრთხოების სამსახურის გაძლიერება,
- ქართული მედია,
- რეფორმები განათლების სისტემაში,
- პარლამენტის პირველი სხდომა,
- ლაფანყურის ინციდენტის გახსენება,
- ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების მიზეზების ხელახალი გამოძიება,
- ცოტნე გამსახურდიას შეწყალება,
- ვითარება ქართულ ციხეებში და ცვლილებები პენიტენციურ სისტემაში,
- სახალხო დამცველის არჩევის საკითხი,
- ბაჩო ახალაიას დაპატიმრება,
- საქართველოს ბიუჯეტი,
- საგარეო ურთიერთობები (რუსეთთან ურთიერთობა) და სხვა.

„პოლიტმეტრი“ გამოირჩევა სტუმრების მრავალფეროვნებით. სტუმრებს შორის არიან როგორც ახალი მთავრობისა და უმრავლესობის, ასევე ყოფილი ხელისუფლებისა და უმცირესობის წევრები და სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. პოლიტიკოსების გარდა „პოლიტმეტრის“ სტუმრები იყვნენ: ექსპერტები, სახალხო დამცველის კანდიდატები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, იურისტები, ბიზნესმენები, მედიის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები და სხვ.

თოქშოუ ყოველთვის ეხმიანება არსებულ მომენტში პოლიტიკურად აქტუალურ მოვლენებს. ჟურნალისტი ცდილობს, სტუდიაში მოიწვიოს ყველა ის სტუმარი, რომელიც

კომპეტენტურია კონკრეტული საკითხის ირგვლივ. გადაცემებში ძირითად შემთხვევებში წარმოდგენილია ყველა წამოყვანი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი ან მათ მიმართ ლოიალურად განწყობილი პირები. თუ გადაცემაში არაა წარმოდგენილი განსხვავებული აზრი, ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ მას უარი უთხრეს გადაცემაში მონაწილეობაზე. ასეთი შემთხვევები ძირითადად ნაციონალური მოძრაობის წევრების მხრიდან ფიქსირდება. პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე ხშირად გადაცემის სტუმრები არიან ქართული ოცნების წარმომადგენლები ან ახალი ხელისუფლებისადმი ლოიალურად და ძველი ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ექსპერტები თუ საზოგადო მოღვაწეები.

კონკრეტული თემიდან გამომდინარე ხშირია საზოგადოებისთვის ცნობილი სახეების მოწვევა, რომლებიც არაპოლიტიკურ საქმიანობას ეწევიან. ასეთი სტუმრები ძირითადად გადაცემის მესამე ნაწილში არიან წარმოდგენილნი და აზრს გამოთქვამენ მომხდარი ფაქტის შესახებ ან ზოგადად აფიქსირებენ საკუთარ დამოკიდებულებას ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, თოქშოუ უფრო მეტადაა დაბალანსებული. თავად ჟურნალისტი თითქმის ყოველთვის მოდერატორის როლს ასრულებს გადაცემაში, არ აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებებს და, საჭიროების შემთხვევაში, ცდილობს სტუმრისგან განსხვავებული პოზიციაც წარმოაჩინოს. ის ყოველთვის ასახელებს მის მიერ გაჟღერებული ინფორმაციის წყაროს.

ჟურნალისტი ყოველთვის აქტიურია გადაცემის მსვლელობისას. სვავს კითხვებს და წარმართავს საუბარს მთავარი თემების ირგვლივ. აღსანიშნავია, რომ ჟიჟილაშვილს ყოველთვის ცოცხალი დიალოგი აქვს სტუმრებთან, ანუ მარტო წინასწარ განსაზღვრულ შეკითხვებს არ სვავს.

ნინო ჟიჟილაშვილი ცდილობს, გადაცემებში საკუთარი პოზიცია არ გაამჟღავნოს. თუმცა, ზოგჯერ არაპირდაპირ მისი დამოკიდებულება ჩანს. მაგალითად, 23 ოქტომბრის გადაცემაში ჟიჟილაშვილს ირონიული ნათქვამი გამოუვიდა ქუთაისში გადატანილ პარლამენტთან დაკავშირებით: „ახალ შენობას ინსტრუქცია არ მოჰყვა. დეპუტატებს დღეს ერთ-ერთი

კომიტეტის კარი ჩაეკეტათ. ოპონენტები შველას ათი წუთის განმავლობაში ითხოვდნენ და კარის გაღებას ერთად ცდილობდნენ.”

5 ოქტომბერი, ნინო ჟიჟილაშვილის კომენტარი: „ის [გია ჭანტურია] ვერ იღებს გადაწყვეტილებებს. რამდენიმე დღის წინ მას მამუკა ღლონტმა უთხრა, რომ შენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხარო და, მემგონი, დადასტურდა ეს.“

3 ნოემბრის გადაცემაში ნინო ჟიჟილაშვილი არ აფიქსირებს თავის პოზიციას. თუმცა, მისი დამოკიდებულება მაინც გამოიკვეთა ბაჩო ახალაიაზე საუბრისას და მის კითხვებში გადაცემის სტუმრების მიმართ წარმოჩინდა გარკვეული მოლოდინი ახალაიაზე უარყოფითი შეფასებებისა. მან გადაცემის ყველა სტუმარს სათითაოდ მიმართა კითხვით, ჰქონდათ თუ არა მათ რაიმე სახის პრეტენზია ბაჩო ახალაიასთან, ხოლო მისი მოლოდინი ზემოაღნიშნული პასუხისა მაია ხასიასთან [სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე] საუბარში შედარებით მკვეთრად გამოიკვეთა. „ქალბატონო მაია, თქვენ ხომ არ გაქვთ კითხვები ახალაიასთან, სისტემასთან, რომელშიც თქვენ ეხლა დაინიშნეთ ძალიან მძიმე მისიით?“ მაია ხასია: „ძალიან მძიმე მემკვიდრეობა გადმომეცა, შეიძლება ითქვას, და მე არ ვიცი, საზოგადოება რატომ უკავშირებს, ფაქტის დადასტურება არ შემიძლია და არაფრის თქმა ამასთან დაკავშირებით, მაინც და მაინც ბაჩო ახალაიას სახელს, რაც ხდება სისტემაში, მაგრამ მე უბრალოდ მინდა ვთქვა, რომ პენიტენციალური სისტემის განვითარება ქვეყნის განვითარების დიდი ნაწილია და კარგი იქნება, თუ ხელს არ შეუშლიან ამ განვითარების პროცესს.“ ჟიჟილაშვილი: „კარგით, თქვენ თავი შეიკავეთ. როგორც ჩანს, აღარ ხართ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, თორემ მეტს იტყოდით, ასეთი ეჭვი მაქვს.“

გადაცემაში მოწვეული სტუმრები არ არიან შეზღუდულნი საუბარში და საკუთარი შეფასებების გაკეთებაში. ჟურნალისტი კითხვის დასმის შემდეგ ბოლომდე ისმენს სტუმრების მოსაზრებებსა და არგუმენტებს. მხოლოდ ამის შემდეგ ეძიება კითხვებით ან ახალ შეკითხვებს უსვავს. ზოგჯერ ჟურნალისტი უბრალოდ ნეიტრალური პოზიციიდან საუბრობს, ზოგჯერ კი ოპონირებას უწევს სტუმრებს და ცდილობს, განსხვავებული მოსაზრება წარმოადგინოს.

მაგალითად, 8 ნოემბრის გადაცემაში ლაფანყურის სპეცოპერაციაზე სასაუბროდ მოწვეული იყო მექა ხანგოშვილი, რეინტეგრაციის საკითხებში მინისტრის აპარატის მრჩეველი. ნინოს ამ თემაზე თავად აზრი არ გამოუხატავს და ოპონირებაც სცადა, როცა ხელისუფლების არგუმენტები მოუყვანა ოპერაციის მიზეზებთან დაკავშირებით. „თუმცა, ქალბატონო მექა, ამას აქვს მეორე მხარე. მოდით, იმ არგუმენტაციას შევხედოთ, რაც ყოფილ ხელისუფლებას ჰქონდა. სახელმწიფო, სადაც ჩვეულებრივად კანონმდებლობა მოქმედებს, უცებ აღმოაჩენს, რომ მის ქვეყანაზე გადაადგილება დიდი შეიარაღების მქონე ჯგუფი და გადაადგილება იმ მიდამოებში, სადაც ახლოს არის ქვეყანა, რომელთანაც გაწყვეტილია ყველანაირი დიპლომატიური ურთიერთობა, რომელთანაც რამდენიმე წლის წინ იყო ომი, ჩვეულებრივი ომი და ნებისმიერმა გადაადგილებამ საზღვართან ახლოს, მით უმეტეს ჩეჩენი ეროვნების ადამიანების, შეიძლება, გამოიწვიოს ახალი უდიდესი პრობლემა ამ ქვეყნის მიმართ. აი, ამ მხრიდან თუ შევხედავთ?...“

უმეტესად გადაცემაში მოწვეული სტუმრები სავსებით თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან. ჟიჟილაშვილი მათდამი ზომიერ დამოკიდებულებას იჩენს: არ არის არც განსაკუთრებულად კეთილგანწყობილი და არც აგრესიული. კითხვებიც საკმაოდ მომთხოვნი და მწვავე აქვს სტუმრების მიმართ. მაგალითები:

16 ოქტომბერი, ნინო ჟიჟილაშვილი კითხვით მიმართავს 2008 წლის მოწვევის პარლამენტის წევრს, რუსუდან კერვალიშვილს: „ქალბატონო რუსუდან, ბევრი ადამიანი თქვენი გუნდიდან, სოლიდური თანამდებობის ყოფილი პირები, გასულები არიან ქვეყნიდან. ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, მათ დატოვეს ქვეყნის საზღვრები. თქვენ როგორ ფიქრობთ, არის თუ არა უპასუხისმგებლობა მათი მხრიდან, ან ეს იყო თუ არა იმის დასტური, რომ მათ ჰქონდათ ბევრი ისეთი დარღვევა, სულ ცოტა, რამაც აიძულა მათ ეს ნაბიჯი გადაედგათ.“

5 ოქტომბერი, ჟიჟილაშვილი მიმართავს სასჯელაღსრულების მინისტრ სოზარ სუბარს: „თქვენ, თუ შეიძლება, მითხრათ, რატომ მოხდა ისე, რომ დღეს მოხდა მხოლოდ სამი კამერის დაშვება? ეს პრეცედენტი იყო შემთხვევითი და აღარ განმეორდება, თუ თქვენ ფიქრობთ,

რომ შერჩევითი მიდგომა მედიასთან ქართულ ოცნებასაც დაახასიათებს?“ [საუბარია ნაციონალური მოძრაობისა და ქართული ოცნების წარმომადგენლების შეხვედრაზე].

24 ოქტომბერი, გიორგი ბარამიძეს: „ბატონო გიორგი, დღეს თქვენი ტონი, გოკა გაბაშვილთან შედარებით, როდესაც თქვენ მიმართეთ ბიძინა ივანიშვილს უმცირესობის სახელით, იყო ძალიან კორექტული, არააგრესიული. ყოველ შემთხვევაში, გოკა გაბაშვილისგან განსხვავებით. ეს სწორედ იმით ხომ არ იყო გამოწვეული, რომ თქვენ ახალ ხელისუფლებასთან გაცილებით მეტი რევერანსი გაქვთ გასაკეთებელი? მოდით, პირდაპირ ვიკითხავ ამას.“

ყველა გადაცემაში ჟურნალისტი აქტიურად ცდილობს ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს სტუმრებისგან, უსვამს მათ დამაზუსტებელ და ინფორმაციულ შეკითხვებს.

5 ოქტომბერი, ჟიჟილაშვილი მიმართავს პაატა კურტანიძეს (ავერსი): „თქვენ შემომწირველი იყავით, ხომ, ნაციონალური მოძრაობის?“ კურტანიძე: „ჩვენ კანონი არ დაგვირღვევია.“ ჟიჟილაშვილი: „გასაგებია, მაგრამ იყავით თუ არა შემომწირველი? ეს მაინტერესებს.“

რიგ შემთხვევებში შეინიშნება, რომ ჟურნალისტის კითხვები შედარებით უფრო მომთხოვნია ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ, ვიდრე ახალი ხელისუფლების მიმართ.

ასევე აღსანიშნავია, რომ რამდენიმე გადაცემის მანძილზე არაერთხელ დაუსვა სხვადასხვა სტუმარს კითხვა მიხეილ სააკაშვილის შესაძლო პასუხისმგებლობაზე ამა თუ იმ გახმაურებულ ფაქტთან დაკავშირებით. მაგალითად, 11 ოქტომბრის გადაცემაში ელენე თევდორაძეს დაუსვა კითხვები ყოფილი ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე, მათ შორის პრეზიდენტზე: „მაინც მინდა, ვიცოდე თქვენი პოზიცია. თქვენ ფიქრობთ თუ არა, რომ ქვეყანაში, სადაც პრემიერმინისტრი გაზით იგუდება და საქმე არ არის გამოძიებული, ეს არის პირდაპირი პასუხისმგებლობა ქვეყნის პრეზიდენტის?“

გადაცემაში საუბარი კორექტულ ფარგლებში მიმდინარეობს და სიძულვილის ენის გამოყენებას ადგილი არ აქვს არც ჟურნალისტის მხრიდან და უმეტესად არც სტუმრების

მხრიდან. თუმცა, ზოგჯერ სტუმრები არაკორექტულ გამონათქვამებს იყენებენ, რაზეც ჟურნალისტი საკმაოდ მკაცრად რეაგირებს.

მაგალითად, 4 ოქტომბრის გადაცემის მიმდინარეობისას ზაზა ბურჭულაძემ და „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტმა შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. ჟიჟილაშვილმა კორექტულობისკენ მოუწოდა ორივეს და, სიტუაციის განმუხტვის მიზნით, ითხოვა, რომ მათთვის ხმები გამოერთოთ და სხვა სტუმარზე გადავიდა კითხვით.

ჟიჟილაშვილი გადაცემის დასწყისში წინასწარ აანონსებს მთავარ თემებსა და მოწვეულ სტუმრებს. შესაბამისად, საუბრები ყოველთვის წინასწარ განსაზღვრულ საკითხებზე მიმდინარეობს ხოლმე. გადაცემაში მოწვეული სტუმრები შეესაბამებიან განხილულ საკითხებს. აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტი წყაროს მითითების გარეშე არ საუბრობს რაიმე კონკრეტულ ინფორმაციასა თუ ფაქტზე და ცდილობს, ერთი ინფორმაცია რამდენიმე წყაროსთან გადაამოწმოს.

ჟურნალისტის არავერბალური ენა არის მშვიდი და გაწონასწორებული, იშვიათად მის შესტიკულაციაში იკვეთება უნდობლობა სტუმრის პასუხის მიმართ და ირონია.

### ***„არგუმენტები“ და „კვირის არგუმენტები“ (თეა სიჭინავა)***

„არგუმენტები“ მაესტროს თოქშოუა, რომლის წამყვანია თეა სიჭინავა. ძირითადად, „არგუმენტები“ დებატების ფორმატითაა წარმოდგენილი და სტუდიაში ორი სტუმარია მოწვეული. კვლავაც გრძელდება „კვირის არგუმენტები“, რომელსაც განსხვავებული ფორმატი აქვს - სტუდიაში რამდენიმე სტუმარია მოწვეული და იქ მყოფი აუდიტორიაც აქტიურადაა ჩართული თოქშოუში.

მონიტორინგის პერიოდში გასული „არგუმენტები“ შემდეგ თემებს განიხილავდა:

- წინასაარჩევნო გარემოს შეფასება,
- ეგზიტპოლები,

- არჩევნების შედეგები,
- ახალი მთავრობის გუნდი,
- ახალი პარლამენტი და ახალი მთავრობა,
- ურთიერთობები უმრავლესობასა და უმცირესობას შორის,
- თბილისის მერიის მიერ უსაფრთხოების სამსახურის შექმნა,
- კონტროლის პალატის უკანონო ქმედებების განხილვა,
- მედია,
- ეკონომიკა,
- სასამართლო სისტემა,
- სახალხო დამცველის არჩევის საკითხი,
- განათლების სისტემა,
- მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში,
- სოციალური დახმარებების გაუქმება,
- პენიტენციური სისტემა,
- ბაჩო ახალაიას დაპატიმრება,
- საქართველოს ლიდერების შეხვედრები პრეზიდენტსა და ბრიუსელში და სხვა.

მონიტორინგის პერიოდში (29 სექტემბერი-12 ნოემბერი) გასულ გადაცემებს სტუმრობდნენ: ახალი მთავრობისა და მმართველი გუნდის წევრები, საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები, ექსპერტები, მედიის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი თვითმმართველობა, სახალხო დამცველის კანდიდატები, საზოგადო მოღვაწეები. მართალია, თოქშოუში ოპოზიცია იყო წარმოდგენილი. თუმცა, მთლიანობაში მას მაინც სჭარბობდა კოალიცია ქართული ოცნებისა და ახალი მთავრობის წარმომადგენლების რაოდენობა. მაგალითად, ოპოზიციური სპექტრიდან გადაცემას სტუმრობდა: კახა კუკავა - თავისუფალი საქართველო, მანანა ნაჭყებია - ახალი მემარჯვენეები, მაგდა ანიკაშვილი - ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, კოკა გუნცაძე - ამომრჩეველთა ლიგა, კოკი იონათამიშვილი - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. რაც შეეხება ადგილობრივ თვითმმართველობას, 2 ნოემბრის თოქშოუში იმყოფებოდნენ მამუკა კაჭარავა



(თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი) და ირაკლი აბესაძე (თბილისის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი).

შესაბამისად, „არგუმენტებსა“ და „კვირის არგუმენტებში“ მოწვეულები არიან როგორც ყოფილი, ასევე მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლები და მხარდამჭერები და გადაცემაში გარკვეული დოზით წარმოდგენილია განსხვავებული აზრი. მაგრამ ჭარბობს ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები და მათდამი კეთილგანწყობილი სტუმრები (განსაკუთრებით კვირის არგუმენტებში) და მაინც იგრძნობა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და მხარდამჭერების ნაკლებობა. თუმცა, ჟურნალისტი აღნიშნავს ხოლმე, რომ მას უარს ეუბნებიან ნაციონალური მოძრაობიდან და ყოფილი ხელისუფლების სხვადასვა სტრუქტურებიდან გადაცემაში მონაწილეობაზე.

აღსანიშნავია, რომ ფორმატის სხვაობასთან ერთად განსხვავებულია წამყვანის ქცევა „არგუმენტებსა“ და „კვირის არგუმენტებში“. „არგუმენტებში“ თეა სიჭინავა მეტად უწევს ოპონირებას სტუმრებს, ხოლო „კვირის არგუმენტებში“ უფრო მოდერატორის როლს ასრულებს. შესაბამისად, „არგუმენტებში“ უფრო ხშირია პირდაპირ ან ირიბად წამყვანის მხრიდან საკუთარი პოზიციის გამჟღავნება. იმ სტუმრებს, რომლებიც მისგან განსხვავებულ პოზიციას იზიარებენ, წამყვანი მეტად უწევს ოპონირებას. ორივე ფორმატის გადაცემაში თეა სიჭინავა აქტიურადაა ჩართული, სტუმრებს უსვავს აქტუალურ კითხვებს, რომლებიც ხან მომთხოვნია, ხან ლმობიერი, და ასევე ხშირად ეძიება მათ ინფორმაციის დასაზუსტებლად.

„კვირის არგუმენტებში“ თეა სიჭინავა, როგორც წესი, ცდილობს ყველა სტუმარი ჩართოს და ყველას მისცეს საშუალება, აზრი დააფიქსიროს. ასევე საზოგადოებაში არსებულ აქტუალურ საკითხებზე აკეთებს უფრო მეტად აქცენტს. უფრო ნაკლებად აფიქსირებს საკუთარ აზრს, უმეტესად შეკითხვებს უსვამს სტუმრებს და აზრის დაფიქსირების საშუალებას აძლევს მათ. ჟურნალისტის კითხვები არის მეტ-ნაკლებად ლმობიერი, ნაკლებად მომთხოვნი, სტუმრები არიან თანაბარ მდგომარეობაში.

„არგუმენტებში“ უფრო მეტად ფიქსირდება განსხვავება წამყვანის დამოკიდებულებაში სტუმრებთან. ზოგ გადაცემაში სიჭინავა ამჟღავნებს კეთილგანწყობას ქართული ოცნების

წარმომადგენლების მიმართ (მაგ.: 8 ოქტომბრის გადაცემა) და უფრო ღმობიერ კითხვებს სვავს. ზოგი რესპონდენტის მიმართ კი უფრო მომთხოვნია, პოლემიკაშიც შედის და გარკვეულწილად თავის პოზიციასაც ამჟღავნებს.

მაგალითად, 18 ოქტომბრისა და 5 ნოემბრის გადაცემებში სტუმრად იყო თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი თეა თუთბერიძე. ეს ორი გადაცემა ძალიან ცხარე კამათის ფონზე მიმდინარეობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჟურნალისტი აქტიურად შევიდა თავადაც დისკუსიაში და კამათში ჩაერთო. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ორივე გადაცემაში სამი განსხვავებული პოზიციის მქონე სტუმარი იყო, ჟურნალისტს შეეძლო, მათ შორის წარემართა დისკუსია. მაგრამ იგი თვითონვე შევიდა თეა თუთბერიძესთან ცხარე კამათში და საკუთარი პოზიციაც არაერთხელ დააფიქსირა.

18 ოქტომბრის გადაცემაში თეა სიჭინავას კომენტარი თეა თუთბერიძეს: „თეა, მე ძალიან ძალიან მაინტერესებს: შევარდნაძის დროინდელი შემორჩენილი მოსამართლეები იყვნენ სასამართლო სისტემაში და ისინი იღებდნენ უკანონო გადაწყვეტილებებს მაშინ, როდესაც მთელი 8 წლის განმავლობაში ჩვენ გვესმოდა კრიტიკა, რომ გვაქვს უკეთესი სასამართლო სისტემა, ვიდრე შევარდნაძის დროს... შევარდნაძის მოსამართლე გვყავდა და ეს იყო პრობლემა?“ ამ შემთხვევაში ცხარე კამათი მიმდინარეობდა სასამართლო სისტემაზე. კონტექსტში თეა სიჭინავა ძალიან შემოფოთებული და გაოცებული ტონით საუბრობდა და ღიად არ ეთანხმებოდა თეა თუთბერიძეს.

5 ნოემბრის გადაცემაში ასევე ცხარე კამათი გაიმართა წამყვანსა და თეა თუთბერიძეს შორის. წამყვანის კითხვის პასუხად თუთბერიძე ამონარიდს კითხულობდა სახალხო დამცველის ანგარიშიდან, რაც წამყვანმა რამდენჯერმე შეაწყვეტინა და სთხოვა, ისეთი რამ ეთქვა, რაც საზოგადოებამ ჯერ არ იცოდა და დრო არ გაეცდინა იმის კითხვაში, რაც ისედაც ცნობილი იყო ყველასთვის. აღსანიშნავია, რომ ამ გადაცემაში წამყვანი უმეტესად თეა თუთბერიძეს უწევდა ოპონირებას, სხვა სტუმრების მიმართ კი შეფასების მომთხოვნ კითხვებს სვამდა.

მსგავსი სიტუაცია იყო 25 ოქტომბრის გადაცემაშიც, სადაც ჟურნალისტი ოპონირებას ძირითადად ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელ კოკი იონათამიშვილს უწევდა. დანარჩენი სტუმრების მიმართ კი უფრო ლოიალური იყო.

15 ოქტომბრის გადაცემაში წამყვანი მიშა თავხელიძის მიმართ ძალიან კრიტიკულადაა განწყობილი, უფრო ხშირად აწყვეტინებს მას საუბარს და საპირისპირო შეკითხვებს უსვამს. „თუ კანონიერია, მაშინ უსამართლო როგორ არის?“ „მოხდა, მოხდა, კაი - რას ნიშნავს? ასე ადვილია?“

ასევე აღსანიშნავია, რომ გადაცემაში, სადაც ახალი მთავრობის წევრები ჰყავდა სტუმრად, თეა სიჭინავა საკმაოდ მომთხოვნი იყო მათ მიმართ და სთხოვდა სამომავლო გეგმების საზოგადოებისთვის გაცნობას. ასევე, 23 ოქტომბრის გადაცემაში, რომელშიც სტუმრად სახალხო დამცველის პოსტზე სავარაუდო კანდიდატები იყვნენ, სიჭინავა ასევე გამოირჩეოდა საკმაოდ მწვავე და მომთხოვნი კითხვებით.

ზოგადად, ჟურნალისტი ხშირად ცდილობს ჩაემიოს სტუმარს, როდესაც ის ვერ იღებს ამომწურავ ინფორმაციას, ან რესპოდენტი ეხება მისთვის საინტერესო საკითხს და არ ასრულებს ბოლომდე აზრს.

„არგუმენტებსა“ და „კვირის არგუმენტებში“ თემიდან გადაცდენა თითქმის არ გვხვდება. მხოლოდ რამდენიმე გადაცემაში სტუმრებმა ოდნავ გადაუხვიეს გადაცემის თემას. მაგალითად, იგივე 18 ოქტომბრის გადაცემაში თეა თუთბერიძემ ძალიან დიდი დრო დაუთმო შევარდნაძის ეპოქაზე საუბარს და წამყვანი ცდილობდა ფოკუსირება დღევანდელიობაზე მოეხდინა.

რაც შეეხება წამყვანის მიერ მოწოდებული ინფორმაციის წყაროს, თეა სიჭინავა წყაროს ყოველთვის ასახელებს და კითხვებსაც ფაქტებზე დაყრდნობით სვავს.

წამყვანი სიძულვილის ენას თვითონ არასოდეს იყენებს. ბევრი ცხარე კამათის მიუხედავად, გადაცემის სტუმრების მხრიდანაც თითქმის არ ფიქსირდება სიძულვილის ენა. თუმცა, მაგალითად, 5 ნოემბრის გადაცემაში იყო არასკორექტული მიმართვები სტუმრებს შორის და

ჟურნალისტი ხშირად მოუწოდებდა მათ კორექტულობისკენ. ასევე, 11 ოქტომბრის გადაცემაში ოპონენტების კრიტიკისას წამყვანმა შეახსენა ქართული ოცნების წარმომადგენელ ლაშა ნაცვლიშვილს, რომ გადაცემაში ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების არმონაწილეობის დროს ასეთი კრიტიკა კორექტულობის ფარგლებს სცილდებოდა.

თეა სიჭინავა ძალიან მიმიკურია და ხშირად იყენებს ამას საკუთარი დამოკიდებულების გამოსახატავად. ასევე ხელებითა და მხრებით შესტიკულაციასაც (მხრების აჩეჩვა, ხელების გაშლა გაცეცხის ნიშნად და ა.შ.) ხშირად იყენებს და საუბრის ინტონაციითაც გამოხატავს საკუთარ ირონიას თუ სარკაზმს ამა თუ იმ პოლიტიკური საკითხისადმი.

### **„ჩვენ“ (თამარ ჩიქოვანი)**

„ჩვენ“ მაესტროზე შაბათობით საღამოს 11 საათზე გადის და მისი წამყვანია თამარ ჩიქოვანი. თითოეულ გადაცემას მხოლოდ ერთი სტუმარი ჰყავს.

მონიტორინგის პერიოდში გადაცემაში შემდეგი თემები იქნა განხილული:

- არის თუ არა არჩევანის გაკეთება გმირობის ტოლფასი,
- მომავალი პოლიტიკური ვითარების ანალიზი,
- სამართალი და სამართლიანობის აღდგენა,
- ახალი მთავრობის დაპირებები და მათი რეალურობა,
- საქართველოს კონსტიტუცია,
- ხელოვნება და საზოგადოება.

29 სექტემბერი - 12 ნოემბრის პერიოდში გასულ გადაცემებს არავინ სტუმრობდა მთავრობიდან ან რომელიმე პოლიტიკური პარტიიდან. თოქშოუს სტუმრებს შორის იყვნენ ნაირა გელაშვილი (მწერალი), სოსო ცისკარიშვილი (პოლიტოლოგი), ნინო გვენეტაძე (იურისტი), რევაზ საყვევარიშვილი (ჟურნალისტი), ჯონი ხეცურიანი (იურისტი), სანდრო

თვალჭრელიძე (საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი) და ლევან ლალიძე (მხატვარი).

„ჩვენ“ დიალოგის ფორმატის გადაცემაა, სადაც წამყვანი მშვიდ და მყუდრო გარემოში საუბრობს გადაცემის სტუმართან. ის ნაკლებად აფიქსირებს თავის სუბიექტურ აზრს, თუმცა მისი პოზიციები მის კითხვებში, რომლებიც გარკვეული დოზით შეიცავს რიტორიკას, იკვეთება. მაგალითად, 29 სექტემბერს, ნაირა გელაშვილთან წამყვანის დიალოგი მთლიანად იმჟამინდელ ხელისუფლების კრიტიკაზე აიგო, წამყვანს არ უცდია სტუმრის საპირისპირო პოზიციის წარმოდგენა და არ გაუწევია მისთვის ოპონირება. ოპონირების არ არსებობამ წამყვანის მხრიდან, შექმნა შთაბეჭდილება, რომ წამყვანი იზიარებს სტუმრის საკმაოდ კრიტიკულ განწყობას ყოფილი ხელისუფლების მიმართ.

გადაცემის წამყვანი ის უფრო ნაკლებადაა ჩართული გადაცემაში, სტუმრებს არ აწყვეტინებს საუბარს. ამიტომ სტუმრის საუბარი მონოლოგს უფრო ემსგავსება ვიდრე აქტიურ დიალოგს წამყვანსა და გადაცემის სტუმრებს შორის. სტუმრების მიმართ ჟურნალისტი საკმაოდ კეთილგანწყობილია. ხშირ შემთხვევაში ისინი ერთ აზრს იზიარებენ დღის მთავარ თემასთან მიმართებაში. ჩიქოვანი, ძირითადად, არ ცდილობს ოპონირება გაუწიოს სტუმარს და წარუდგინოს მას განსხვავებული პოზიცია. წამყვანი ღიად არ საუბრობს საკუთარ პოზიციაზე და არ ამბობს, რომ ეს მისი აზრია, მაგრამ კითხვის დასმისას, ხშირად, ურთავს თავში საკუთარ ვრცელ მსჯელობას, სადაც შეიძლება მისი პოზიციის დანახვა. ჟურნალისტის დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში, ასევე, ჩანს მისი არავერბალური ენის გამოყენების დროს: მიმიკა, სხვადასხვა ჟესტიკულაცია ხელებით და სხვა.

გადაცემების თემები, მიუხედავად იმისა რომ დაანონსებულია, ძირითადად ცდება თავის არეალს და სხვა თემებსაც ეხება. 29 სექტემბერს წამყვანმა გადაცემის დასაწყისში დაანონსა გადაცემის მთავარი თემა, რომელიც არჩევანის გაკეთების მართებულობასა და მნიშვნელობას უნდა შეხებოდა. თუმცა, იგი ამ თემას მხოლოდ გადაცემის ბოლოს ერთადერთი კითხვით შეეხო. გადაცემის დანარჩენი დრო ციხის მოვლენებზე საუბარს, პატიმრების წამების ამსახველი ვიდეოების შედეგებსა და გამოძახილს შეეხო.

ჟურნალისტის მხრიდან სიძულვილის ენის ან შეურაცხყოფელი/დამამცირებელი ფრაზების გამოყენებას ადგილი არ ჰქონია. თამარ ჩიქოვანი უფრო მოზომილ შეფასებებს აკეთებს და არ იყენებს არაკორექტულ გამონათქვამებს.

## კავკასია

*კავკასიაზე მონიტორინგი უკეთდება სამ თოქშოუს. ესენია: „სტუდია სპექტრი“, წამყვანი დავით აქუბარდია, „ბარიერი“, წამყვანი ალექსანდრე ელისაშვილი და ნინო ჯანგირაშვილი და „ცხელი ხაზი“, რომელსაც მონაცვლეობით სამი სხვადასხვა წამყვანი ჰყავს, ალექსანდრე ელისაშვილი, ზვიად ქორიძე და ნათია ორგელაშვილი. მონიტორინგის პერიოდში ზოგი გადაცემის წამყვანი ასევე იყო მერაბ მეტრეველი.*

*უმეტესად, დავით აქუბარდიას გადაცემაში ისეთი რესპონდენტები ჰყავს სტუმრად, რომლებიც მისთვის მისაღებ მოსაზრებებს გამოთქვამენ. წამყვანი, ძირითადად, ეთანხმება მათ და აცდის აზრის ბოლომდე გამოთქმას. გადაცემის ფორმატი თავისუფალია, წამყვანი ნაკლებად სვამს კითხვებს და საუბარი ძალიან „შინაურულად“ მიმდინარეობს. აქუბარდია საკუთარ მოსაზრებებს ხშირად აფიქსირებს, რომლებიც უმეტესად ირონიული და ძალიან უარყოფითი შინაარსით გამოირჩევა. განსაკუთრებით ეს პრეზიდენტის, ყოფილი მინისტრებისა და ნაციონალური მოძრაობის მისამართით ხდება. წამყვანი ხშირად იყენებს სალანძღავ, შეურაცხყოფელ და დამამცირებელ ფრაზებს სტრუქტურებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლების მიმართ. მეორეს მხრივ, აქუბარდია არასოდეს იშურებს ქებას და დადებით შეფასებას მასთან სტუდიაში მოსული სტუმრების მიმართ და არ მალავს მის კეთილგანწყობას ახალი მთავრობის მიმართ.*

*„ცხელ ხაზში“ მონიტორინგის პერიოდში გასულ გადაცემებში მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ როგორც მთავრობის და მმართველი გუნდის ისე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები. გადაცემაში ერთი შეხედვით ბალანსი დაცულია, რადგან ყოველთვის წარმოდგენილია ორი სხვადასხვა მხარე. თუმცა, ელისაშვილის ტენდენციურობა ძალიან*

თვალში საცემია. ის, ყოველთვის ცალსახად აკრიტიკებს ნაციონალურ მოძრაობას და ე.წ. ძველ ხელისუფლების წარმომადგენლებს, ხოლო ხშირად სტუდიაში მყოფ ქართული ოცნების წარმომადგენლებს არანაირი კრიტიკის შემცველ კითხვებს არ უსვამს. ღიად გამოხატავს საკუთარ კრიტიკულ და ხშირად არაკორექტულ შეფასებებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. შედარებით განსხვავებულია ის გადაცემები, რომლის წამყვანიც ნინო ჯანგირაშვილია. მისი ეთერი უფრო მეტად მშვიდად და დინამიურად მიდის. ჟურნალისტიც აქტიურად არის ჩართული გადაცემაში, მაგრამ ცდილობს უფრო მეტად მოდერატორის როლი შეასრულოს.

აღსანიშნავია, რ თმ „ცხელი ხაზის“ იმ გადაცემებში, სადაც წამყვანი ალექო ელისაშვილია, გადაცემა „ბარიერის“ მსგავსი ტენდენციებით მიმდინარეობს. ხოლო, „ცხელი ხაზის“ დანარჩენი სამი წამყვანი, ნათია ორველაშვილი, ზვიად ქორიძე და მერაბ მეტრეველი, უმეტესად მოდერატორის როლს ასრულებენ და თავის შეხედულებებს აშკარად არ აფიქსირებენ.

### „სტუდია სპექტრი“

„სტუდია სპექტრი“ კავკასიის თოქშოუა, რომლის წამყვანია დავით აქუბარდია. თოქშოუ 2-3 ნაწილისგან შედგება და სტუდიაში რამდენიმე სტუმარია მოწვეული. გადაცემის მსვლელობისას პირდაპირ ეთერში ხდება მაცურებლების სატელეფონი ჩართვებიც.

მონიტორინგის პერიოდში „სტუდია სპექტრი“ შემდეგ თემებს შეეხო:

- არჩევნები (წინასწარი შედეგები, დარღვევები საარჩევნო უბნებზე)
- ხელისუფლების გადაბარება,
- მიხეილ სააკაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა,
- ივანიშვილის შეხვედრა უმცირესობასთან,
- პარლამენტის პირველი სხდომა,
- ორხელისუფლებიანობა საქართველოში,

- განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული პრობლემები,
- სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემები,
- სახალხო დამცველის არჩევის საკითხი,
- გაფიცვების ტალღა,
- ქართულ ჯარში არსებული მდგომარეობა,
- მედია,
- დევნილთა პრობლემები,
- ბაჩო ახალაიას დაკავება,
- ცვლილებები ციხეებში,
- სოციალური დახმარებების შეწყვეტა,
- რუსეთ - საქართველოს ურთიერთობები და სხვა.

სტუმრებს შორის, ძირითადად, იყვნენ მთავრობისა და მმართველი გუნდის წევრები, ექსპერტები, მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სახალხო დამცველის კანდიდატები, საზოგადო მოღვაწეები. ოპოზიცია პრაქტიკულად არ ყოფილა წარმოდგენილი, მხოლოდ 29 ოქტომბრის გადაცემას სტუმრობდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი, პალიკო კუბლაშვილი.

აქვე აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის ამ პერიოდში რამდენიმე გადაცემის ბლოკი არ ეხებოდა პოლიტიკას და მონიტორინგის სუბიექტებს, ამიტომ მონიტორინგში არ მოხვდა.

უმეტესად, აქუბარდიას გადაცემაში ისეთი ადამიანები ჰყავს სტუმრად, რომლებიც მისთვის მისაღებ მოსაზრებებს გამოთქვამენ, წამყვანი ძირითადად ეთანხმება მათ, აცდის აზრის გამოთქმას ბოლომდე და მათდამი დამოკიდებულებაც დადებითია. ე.წ. ახალი ხელისუფლების წევრებისა და მათ მიერ ლმობიერად განწობილი ადამიანების გარდა, გადაცემაში სტუმრად იყვნენ სტუმრები, რომლებიც წინა ხელისუფლების პირობებში საჯარო სამსახურში მუშაობდნენ და საუბრობენ იმ პერიოდში მათზე განხორციელებულ უკანონო ქმედებებებსა და ზოგადად ყოფილი ხელისუფლების დამოკიდებულებებზე.



გადაცემის ფორმატი თავისუფალია, წამყვანი ნაკლებად სვამს კითხვებს და საუბარი ძალიან „შინაურულად“ მიმდინარეობს. დიალოგი მიდის, ძირითადად, არა კითხვა-პასუხის რეჟიმში, არამედ ორივე მხარე (წამყვანი და სტუმარი) უბრალოდ ცვლიან აზრებს და ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ შეხედულებებს. ამ პროცესში გადაცემის წამყვანი რეგულარულად აფიქსირებს თავის მოსაზრებებს. აღსანიშნავია, რომ ოქტომბრის მეორე ნახევრიდან წამყვანი შედარებით მეტად სვამს კითხვებს. თუმცა ეს საერთო სურათს მაინც არ ცვლის, დავით აქუბარდია ყველა გადაცემაში ღიად და დაუფარავად გამოხატავს თავის მოსაზრებებს და შეხედულებებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

ჟურნალისტი ხშირად აღნიშნავს, რომ მას დიდი სურვლი აქვს, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან მოვიდეს ვინმე მის გადაცემაში, მაგრამ ყველანაირი თხოვნისა და მოწვევის მიუხედავად არავინ მოდის.

ჟურნალისტის ჩართულობის დონე გადაცემაში, გარკვეულწილად, დამოკიდებულია მოწვეულ სტუმარზე და მის აქტიურობაზე. არის გადაცემები, როდესაც ჟურნალისტი თითქმის არ ერთვება გადაცემაში და მხოლოდ სტუმარი საუბრობს. მაგრამ არის შემთხვევებიც, როდესაც აქუბარდია საუბარს არ აცდის სტუმარს და გადაცემის დიდი ნაწილი თავად საუბრობს. ეს უფრო დამოკიდებულია სტუმარზე და ასევე გადაცემის თემაზე. საერთო ჯამში, გადაცემის წამყვანი საკმაოდ აქტიურადაა ჩართული გადაცემაში და, მიუხედავად იმისა, რომ კითხვებს ნაკლებად სვამს, საკუთარ მოსაზრებებს ხშირად აფიქსირებს, რომლებიც უმეტესად ირონიული და ძალიან უარყოფითი შინაარსით გამოირჩევა. განსაკუთრებით ეს პრეზიდენტის, ყოფილი მინისტრებისა და ნაციონალური მოძრაობის მისამართით ხდება. წამყვანი ხშირად იყენებს სალანძღავ, შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ ფრაზებს სხვადასხვა სტრუქტურებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლების მიმართ. სამთავრობო უწყებებსა და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციას უწოდებს „კანტორებს“. მისთვის ჩვეულია შემდეგი ფრაზები: „საბჭოთა ხელისუფლება“, „ვირ-ემმაკა“, „იდიოტობა“, და ა.შ

3 ოქტომბერი, დავით აქუბარდია ზურაბ ხარატიშვილზე: „მაგ ბიჭი ვირ-ემმაკა ყოფილა, კაცო.“

8 ოქტომბერი: „ჭიბერაშვილმა ჩაატარა სპეციალური პრესკონფერენცია, რო აუტანელ ზეწოლას განვიცდითო ნაც. მოძრაობა გურჯაანშიო. და იმასავით, რა ქვია, ჟოლობის ტრუბასავით გვერდით ედგა ის ღვინიაშვილი. ნუ, სირცხვილია ესეთი განცხადებების გაკეთება ხალხო.“

9 ოქტომბრის გადაცემაში:

პაატა ზაქარეიშვილი: „მან კონსტიტუცია შეცვალა.“

აქუბარდია: „ბიჭო, შეცვალა. შეუცვალოს ბებიამისს.“

აღსანიშნავია, რომ არჩევნების შემდეგ შედარებით შემცირდა მისი მხრიდან ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრების ასე მოხსენიება. ამასთან, ხანდახან წამყვანი ახალი მთავრობისა და პარლამენტის გადაწყვეტილებებსაც აკრიტიკებს და სანაცვლოდ თავის ხედვას სთავაზობს მაყურებელს, კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით. ასევე, აძლევს რეკომენდაციებს ახლადარჩეულ მმართველი პარტიის წარმომადგენლებს და გამოთქვამს გარკვეული სახის მოლოდინებს მათი მომავალი საქმიანობის მიმართ.

მეორეს მხრივ, აქუბარდია არასოდეს იშურებს ქებას და დადებით შეფასებას სტუმრების მიმართ და არ მალავს მის კეთილგანწყობას. ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებებს ხშირად „გონივრულს“ და „პატრიოტულს“ უწოდებს. კოალიცია ქართული ოცნების წევრებს კი - „ლომებს“.

მაგალითად 15 ოქტომბრის გადაცემას დავით აქუბარდია შემდეგი სიტყვებით იწყებს: „მოგესალმებით ხალხო. მინდა გითხრათ, რომ ლეგენდარული ვალერი გელაშვილი გახლავთ ჩვენი სტუმარი. ეს ის ადამიანი გახლავთ, რომელიც კერპეტი კაკალივით ედგა და ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას. და გულწრფელად გეუბნებით არნახული ბრძოლა გაუმართა ბატონმა ვალერიმ, ყველა ხაშურელთან ერთად, იმ რეჟიმს, რომელსაც აგერ რვა წელია ებრძვის და ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა ეს.“

ჟურნალისტის კითხვები თითქმის არასოდეს გამოირჩევა მომოთხოვნი ტონით და არ არის კრიტიკული. როგორც უკვე აღინიშნა აქუბარდია გადაცემაში იშვიათად სხვამს კითხვებს.

დიალოგის რეჟიმში წარმართულ გადაცემაში ის ყოველთვის აცდის სტუმრებს საკუთარი მოსაზრების გამოთქმას და აზრის დასრულებას. თუმცა, ხშირად აწყვეტინებს კიდეც მათ, მაგრამ, არა იმიტომ, რომ მათ მოსაზრებებს უპირისპირდება, არამედ იმისთვის, რომ საკუთარი აზრი დააფიქსიროს და ამით სტუმრის მოსაზრება გააგრძელოს. ამ კუთხით, ფაქტიურად ყველა სტუმარი თანაბარ მდგომარეობაშია.

ძალიან იშვიათია შემთხვევები, როდესაც თოქშოუში წარმოდგენილია განსხვავებული აზრი. მონიტორინგის ამ პერიოდში ასეთი გადაცემები იყო 29 ოქტომბერს, როდესაც სტუმრად იყო პავლე კუბლაშვილი და 6 ნოემბერს, სადაც სტუმარი იყო მიხეილ თავხელიძე. წამყვანი ხშირად შედიოდა პოლემიკაში სტუმრებთან და უფრო კრიტიკული იყო მათ მიმართ. ამასთან, თავის მოსაზრებებსაც ღიად აფიქსირებდა.

6 ნოემბერი: „კაი რა, მიშა, რა. ნერვებს მიშლი...“; „მე დღეს მედიაზე მინდოდა მესაუბრა, რა დღეშია საბჭოთა მედია. და შენ ტვინი წაიღე ამ შენი ბიუჯეტის განხილვით.“

სტუმრების მიერ შეურაცხმყოფელი ფრაზების გამოყენებაზე წამყვანი ან იცინის, ან აგრძელებს მათ მიერ დაწყებულ ნათქვამს და არ მოუწოდებს მათ კორექტულობისკენ.

მაგალითად, 26 ოქტომბრის გადაცემაში, როდესაც გაია იაკობაშვილმა ინტერნეტის მედია მონიტორებს რამდენჯერმე „ტუტუცები და ქათმები“ უწოდა, წამყვანს ამაზე უარყოფითი რეაქცია ჰქონია.

აღსანიშნავია, ასევე 12 ოქტომბრის გადაცემა, რომლის თემაც მოსამართლეები და სასამართლო სისტემა იყო, აქუბარდიას მოწვეული ჰყავდა მოსამართლეები და მათთან ერთად საუბრობდა ამ პრობლემებზე. გამოთქვა თავის მოსაზრებებიც. ისაუბრა იმ მოსამართლეებზეც და დაასახელა მათი გვარებიც, რომლებმაც, მისი აზრით, უკანონო გადაწყვეტილებები მიიღეს. გადაცემის ბოლოს კი ბოდიში მოუხადა ყველას ამის გამო.

„მე ბოდიშს ვუხდი ბატონ გიორგის მიქაუტაძეს, ბოდიშს ვუხდი კუბლაშვილს და ყველას გვარი ვინც ვახსენე. იგივე ჩინჩალაძეზე. მაგრამ, ბიჭო, პროფესია შეიცვალეთ რა... არ გინდათ, ცოდვას ნუ ჩადიხართ.“

რაც შეეხება გადაცემის თემის გამოცხადებას და შემდეგ მის მიყოლას, აქუბარდიას იშვიათად აქვს თემა წინასწარ დაანონსებული და საუბრის მთავარი საგანი თავად გადაცემის მსვლელობის დროს იკვეთება. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც წამყვანი წინასწარ აცხადებს გადაცემის მთავარ თემას საუბარი ხშირად ცდება მას და სხვა მიმართულებას იღებს. თითქმის ყოველთვის თემა ზოგადდება და ყოფილი ხელისუფლების და მათი საქმიანობის კრიტიკაზე გადადის.

სხვადასხვა თემაზე საუბრისას წამყვანი საკმაოდ იშვიათად ასახელებს ინფორმაციის წყაროს და ხშირად საუბრობს ისეთი ფაქტების შესახებ, რომელთა წარმომავლობასაც არ ასახელებს. მიუხედავად ამისა, იგი ამ ინფორმაციას როგორც ფაქტს ისე აწოდებს მაყურებელს.

### **„ბარიერი“**

„ბარიერი“ კავკასიის თოქშოუა, რომელიც სამშაბათსა და პარასკევს საღამოს 11 საათსა და 30 წუთზე გადის და მისი წამყვანები მონაცვლეობით არიან ალექსანდრე ელისაშვილი და ნინო ჯანგირაშვილი. გადაცემას დებატების ფორმატი აქვს, სტუდიაში მოწვეულია რამდენიმე სტუმარი, რომლებიც ორ სხვადასხვა მხარეს წარმოადგენენ.

ამ პერიოდში „ბარიერში“ შემდეგი თემები იყო განხილული:

- არჩევნების შედეგების შეფასება,
- ურთიერთობა ძველსა და ახალ ხელისუფლებას შორის,
- მედია,
- სახალხო დამცველის არჩევის საკითხი,
- ახალი პოლიტიკური რეალობა, (ხელისუფლების კონკრეტული გეგმები და საზოგადოების მოთხოვნები, ახალი მინისტრთა კაბინეტი, ახალი პარლამენტის მუშაობის პრინციპები)
- საპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანობა და ლეგიტიმურობა,
- მასშტაბური ამნისტია,

- ადმინისტრაციული და პრეზიდენტის ხარჯები,
- ბოლოდროინდელი დაპატიმრებები,
- ცვლილებები კულტურის სფეროში და სხვა.

მონიტორინგის პერიოდში „ბარიერში“ მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: მთავრობის და მმართველი გუნდის წევრები, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები, მედიის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები, სახალხო დამცველის კანდიდატები, უფლებადამცველები, საზოგადო მოღვაწეები. თუმცა, უმცირესობის წევრი მხოლოდ ორჯერ სტუმრობდა აღნიშნულ პერიოდში გასულ გადაცემებს (12 ოქტომბერს - ლევან თარხნიშვილი და 26 ოქტომბერს - სერგო რატიანი).

გადაცემაში ერთი შეხედვით ბალანსი დაცულია, რადგან ყველა გადაცემაში წარმოდგენილია ორი სხვადასხვა მხარე. (თუ ასე არ არის, ჟურნალისტები ხსნიან ამის მიზეზს) წამყვანიც აძლევს სტუმრებს საშუალებას თავისუფლად, ღიად და ამომწურავად დააფიქსირონ თავიანთი აზრი. თუმცა, ელისაშვილის ტენდენციურობა ძალიან თვალში საცემია. ის, ყოველთვის ცალსახად აკრიტიკებს ნაციონალურ მოძრაობას და ე.წ. ძველ ხელისუფლების წარმომადგენლებს, ხოლო ხშირად სტუდიაში მყოფ ქართული ოცნების წარმომადგენლებს არანაირი კრიტიკის შემცველ კითხვებს არ უსვამს. ელისაშვილი გამოირჩევა თავისი სტილით, მის კითხვებში ყოველთვის არის ირონიის, დაცინვისა და ხუმრობის ელემენტები.

2 ნოემბერი: „მე ერთი კითხვა დამრჩა, შაშვინი გავიგეთ სად არის და ეს კუდრაჭა კალმახელიძე, თქვენ ხო არ იცით, ქალბატონო ელენე, სად არის? ესე რო იტყვარწებოდა ხოლმე ის გოგო და ყველაფერი რო კარგად იყო მის სტრუქტურაში და მერე რო სააკაშვილმა თქვა სისტემამ მარცხი განიცადაო, ხო არ იცით ის კუდრაჭა სად არის?“

ელისაშვილი არ არის მხოლოდ მოდერატორი, იგი ღიად გამოხატავს საკუთარ კრიტიკულ და ხშირად არაკორექტულ შეფასებებს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. იგი ძირითადად სტუმრების დებატებში ერთვება და მათთან ერთად საუბრობს არა მხოლოდ კითხვა-პასუხის რეჟიმში. ხანდახან ის დაახლოებით იმდენივეს საუბრობს, რამდენსაც სტუმარი და ისეთივე კრიტიკულ კონტექსტში (ხანდახან უფრო ცხარედაც კი), როგორც ისინი. ის ღიად

საყვედურებს ხელისუფლების წარმომადგენლებს ამა თუ იმ ფაქტის გამო, აკრიტიკებს მათ, იყენებს არაკორექტულ სიტყვებს და ღიად აფიქსირებს საკუთარ შეხედულებებს. მაგალითად:

9 ოქტომბერი: „300 ლარისა ჩაცეცხლეს ხომ, 300 ლარიანი. თან ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც ლუკმა პური ენატრება ხალხს... ეს ვიღაცა ტუტუცები, ეს გარეწრები, თბილისის მერიის თანამშრომლები წავიდნენ და 300 ლარიან სიგარას (ხელის შესტიკულაციით ცდილობს სიგარის მოწვევის ინიცირებას)...თბილისის ბიუჯეტის ფულს ხარჯავდნენ ამით.“

„აი ის შანტრაბა, ხულიგნები, რომლებიც მოვიდნენ ხელისუფლებაში და გახდნენ მინისტრები, აი ისინი არიან ყველაზე საშიში. ადამიანი რომ მომიტინგეებს ტირის თოფით ესვრის ხომ იცის რომ არ მოკლავს, მაგრამ რაღაცას ხომ შკოდნიკობს?“

23 ოქტომბერი: „ცხვირმოუხოცავია ის ბიჭი [გიორგი კალანდაძე]. ის არის თაღლითი, აფერისტი. საბრძოლო ჭრილობისთვის პრემია აიღო მაშინ, როდესაც საბრძოლო ვითარებაში იარა არ მიუღია.“

ელისაშვილი ცდილობს ჩაეძიოს გადაცემის სტუმრებს, თუმცა ამას ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებისა და მისი მომხრეებისგან უფრო მეტად ითხოვს.

აღსანიშნავია, რომ ელისაშვილის კრიტიკული განწყობა ნაციონალური მოძრაობის მიმართ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ შესუსტდა, თუმცა ეს არ მომხდარა ახალი მთავრობის კრიტიკის ფონზე, პირიქით, წინა ხელისუფლების შეცდომების წამოჭრის პარალელურად ახალი ხელისუფლების დადებით კონტექსტში მოხსენიების ტენდენცია შეინიშნება.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ჟურნალისტი არც ერთ მის მიერ გაჟღერებულ ინფორმაციაზე არ ასახელებს ინფორმაციის წყაროს. საუბრობს საკუთარ მოსაზრებებზე და უბრალოდ ყვება დაუზუსტებელ ფაქტებს.

გამომდინარე იქიდან, რომ გადაცემას რამდენიმე სტუმარი ერთდოულად ჰყავს და ისინი ხშირად საპირისპირო შეხედულებების მქონენი არიან, ელისაშვილს უჭირს დებატების წარმართვა. ხშირად სიტუაციის კონტროლს ვერ ახერხებს, სტუმრები ერთად იწყებენ

საუბარს, კამათს და შემდეგ თვითონვე სთხოვენ ჟურნალისტს სიტუაციის დარეგულირებას. მაგალითად, 16 ოქტომბრის გადაცემაში, რომელშიც მონაწილეობდნენ ომბუცმენობის კანდიდატები, განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო როდესაც დიმიტრი ლორთქიანი და თამარ გურჩიანი ერთმანეთს ეკამათებოდნენ. თამარი ამბობდა რომ მისთვის მნიშვნელოვანი იყო ყველა ადმანიანის ყველა უფლება დაეცვა და ადანაშაულებდა დიმიტრის ქსენოფობიაში, თავის მხრივ დიმიტრიც უყენებდა ბრალდებებს თამარს. ეს კამათი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა, დანარჩენი ორი სტუმარი ფაქტიურად გამოთიშული იყო დისკუსიიდან. ელისაშვილი არ ერეოდა ამ კამათში აძლევდა მხარეებს საშუალებას პასუხი გაეცათ ერთმანეთისთვის. ბოლოს აუდიტორიაში მყოფმა ერთ-ერთმა სტუმარმა ითხოვა რომ მიეცათ იმ ორი სტუმრისთვისაც აზრის გამოთქმის საშუალება, რადაც ეს გადაცემა და თემა იყო სახალხო დამცველის კანდიდატურებზე და არა ჰომოფობიაზე.

შედარებით განსხვავებულია ის გადაცემები, რომლის წამყვანიც ნინო ჯანგირაშვილია. მისი ეთერი უფრო მეტად მშვიდად და დინამიურად მიდის. ჟურნალისტიც აქტიურად არის ჩართული გადაცემაში, მაგრამ ცდილობს უფრო მეტად მოდერატორის როლი შეასრულოს. ცდილობს ჩაეძიოს ყველა სტუმარს, მიუცედავად მათი პოლიტიკური მიკუთვნებულობისა და ამომწურავად მიიღოს პასუხები დასმულ კითხვებზე. აღსანიშნავია 9 ნოემბრის გადაცემა, როდესაც წამყვანმა დასაწყისში თქვა, რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა არ ისურვეს დებატებში მონაწილეობის მიღება და ამიტომ ის შეეცდებოდა ნაციონალური მოძრაობის მომხრეების არგუმენტები თვითონ წარმოედგინა. გადაცემის თემა იყო „ბოლოდროინდელი დაპატიმრებები“.

თუმცა ჯანგირაშვილიც ხშირად აფიქსირებს საკუთარ მოსაზრებას და თავის პოზიციას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. არის შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტი საუბრობს ფაქტებზე მათი წარმომავლობის ან წყაროს დასახელების გარეშე.

## „ცხელი ხაზი“

„ცხელი ხაზი“ კავკასიის თოქშოუს, რომელიც ორშაბათს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს გადის საღამოს 11 საათსა და 30 წუთზე და მისი წამყვანები მონაცვლეობით არიან ალექსანდრე ელისაშვილი, ზვიად ქორიძე და ნათია ორველაშვილი. მონიტორინგის პერიოდში ზოგი გადაცემის წამყვანი ასევე იყო მერაბ მეტრეველი. ჩვეულებრივ, გადაცემაში ერთი ან ორი სტუმარია. ხოლო, გადაცემის პირველი ნაწილი მთლიანად ეთმობა მაყურებლებისგან ზარების მიღებას.

„ცხელი ხაზი“ თავის გადაცემებში შემდეგ თემებსა და საკითხებს შეეხო:

- არჩევნები (არჩევნების შემდგომ განვითარებული მოვლენები, ეგზიტპოლების შედეგები, გაყალბება),
- ახალი მთავრობა და სამომავლო გეგმები,
- შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ცვლილება,
- ბიზნესისა და სახელმწიფოს ურთიერთობები,
- მართლმსაჯულების სისტემის პრობლემები,
- საგამომიებო კომისია და მისი ფუნქცია,
- კომუნალური ტარიფების შემცირების რეალისტურობა,
- სოციალური დახმარებები,
- მასშტაბური გაფიცვები,
- განათლების სისტემა და ერთიანი ეროვნული გამოცდები,
- ბაჩო ახალაიას დაკავება,
- ცვლილებები ქართულ მედიაში,
- ახალი მთავრობის საგარეო პოლიტიკური კურსი.

„ცხელ ხაზში“ მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ როგორც მთავრობისა და უმრავლესობის, ასევე უმცირესობის და სხვა ოპოზიციური გუნდების წარმომადგენლები. თუმცა, ამათ შორის ჭარბობდნენ მმართველი გუნდისა და ახალი ხელისუფლების წევრები. 4 ოქტომბერს და 8 ნოემბერს თოქშოუს სტუმრობდა დავით დარჩიაშვილი (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა),



1 ოქტომბერს - ლევან ჩიკვაიძე (ამომერჩიველთა ლიგა), ხოლო 11 ოქტომბერს და 12 ნოემბერს - კახა კუკავა (თავისუფალი საქართველო). სხვა სტუმრებს შორის იყვნენ: ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, უფლებადამცველები, მედიის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები.

მთლიანობაში გადაცემაში სტუმრებს შორის ბალანსი მეტ-ნაკლებად დაცული იყო და განსხვავებული აზრები დაფიქსირდა. რაც შეეხება წამყვანებს, ალექსანდრე ელისაშვილი ყოველთვის ღიად საუბრობს საკუთარ შეხედულებებზე და შედარებით მიკერძოებულია. ზვიად ქორიძე და ნათია ორველაშვილი უმეტესად მედიატორის როლს ასრულებენ და მხოლოდ კითხვით მიმართავენ სტუმრებს. ელისაშვილი და ზვიად ქორიძე საუბრისას ინფორმაციის წყაროს იშვიათად ასახელებენ, ხოლო ნათია ორველაშვილი წყაროს გარეშე არ საუბრობს.

ასევე ელისაშვილი აქტიურად შედის პოლემიკაში იმ სტუმართან, ვისი აზრიც მისთვის მიუღებელია. ორველაშვილი და ქორიძე შედარებით ნაკლებად აქტიურობენ და ცდილობენ, ობიექტურობა დაიცვან. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც პირდაპირ ან ირიბად მათი პოზიციაც ნათელი ხდება.

წამყვანების როლი და ჩართულობა გადაცემაში განსხვავებულია. ალექო ელისაშვილი ძირითადად თავისუფალი მოსაუბრეა: ღიად საუბრობს საკუთარ შეხედულებებზე. ხოლო გადაცემის სხვა წამყვანები: ნათია ორველაშვილი, ზვიად ქორიძე ან, რამდენიმე გადაცემის შემთხვევაში, მერაბ მეტრეველი ითავსებენ „ცხელი ხაზის“ მსვლელობისას სტუმრებისადმი კითხვების დასმის ფუნქციას და ზოგადად ჟურნალისტის როლს.

ჟურნალისტების აქტიურობის მხრივაც განსხვავებაა. კერძოდ, ალექო ელისაშვილი აქტიურია საკუთარი აზრების ღიად გამოთქმაში, ნათია ორველაშვილი და ზვიად ქორიძე კი ძირითადად მხოლოდ კითხვის დასმით შემოიფარგლებიან ხოლმე. თუმცა ეს ზოგადი ტენდენციაა და გამონაკლისებიც გვხვდება.

მაგალითად, 1 ოქტომბრის გადაცემაში ალექო ელისაშვილი დასცინოდა რუსთავი 2-ს, რომელზეც, მისი თქმით, ამ ცხელ პერიოდში გადიოდა ფილმი „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“;

ასევე იმედს, რომელზეც გადიოდა ფილმი „მონანიება“; საზოგადოებრივ მაუწყებელს, რომელზეც გადიოდა ფილმი „ტრანსფორმერები“ და ა. შ. მან ბევრჯერ გაიმეორა ეს გადაცემის განმავლობაში საკმაოდ ირონიული და დამცინავი ტონით.

11 ოქტომბრის გადაცემაში ალექო ელისაშვილი ამბობს: „არავის ასეთი უბედური და გაუბედურებული კონსტიტუცია დედამიწის ზურგზე არა აქვს. პალიკო კუბლაშვილს ფეხის საწმენდად ჰქონდა გაგდებული, რეალურად რომ ვთქვათ. ყოველ კვირას რა მოცემულობა შეიქმნებოდა, იმის მიხედვით გადააკერებდნენ ხოლმე რაღაცას. მიაკერებდნენ და ბოლოს, ალბათ, რომ ჩახედოს კაცმა, შეიძლება გული გაგვისკდეს, ისეთი რაღაცეები წერია იმაში ხომ.“

1 ნოემბერი, ალექო ელისაშვილი: „ჭკვიანი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა ბატონი ადემიშვილი და ასე რო გაშპა იმასავით, რა ქვია, შატალოზე წასული ოროსანი ბავშვივით, ეს არის ძალიან საინტერესო... დაგვიბრუნდით, ბატონო ზურაბ, ვაჟკაცურად ჩამოსვლა ჯობია და ვაჟკაცურად ჩაბარდეთ ჯობია მართლმსაჯულებას. თუ პრობლემები არი, პრეზუმფციას ხო არ ვარღვევთ ჩვენ?“

გადაცემაში მოწვეული სტუმრები ძირითადად არ არიან შეზღუდულები ჟურნალისტების მხრიდან საკუთარი აზრის გამოთქმისას. მათ თავისუფლად და დიდხანს შეუძლიათ მსჯელობა ამა თუ იმ საკითხზე. ჟურნალისტები არ აწყვეტინებენ მათ საუბარს და ხშირად არც ოპონირებას არ უწევენ განსხვავებული პოზიციიდან. თუმცა, ზოგ რესპონდენტთან საუბრის შეწყვეტაც დაფიქსირდა და ოპონირებაც. მაგალითად, 4 ოქტომბრის გადაცემაში, სადაც სტუმრად დავით დარჩიაშვილია, ჟურნალისტები პოლემიკაში შედიან მასთან და საუბარსაც ხშირად აწყვეტინებენ.

5 ნოემბრის გადაცემაში, რომელიც ორველაშვილსა და ქორიძეს მიჰყავთ, წამყვანები ძირითადად მოდერატორები არიან და ღიად არ აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებას. თუმცა, შეიმჩნევა, რომ მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლების მიმართ უფრო მომთხოვნები არიან.

ზოგადად, სტუმრების მიმართ დასმული შეკითხვები ხშირად არ არის მომთხოვნი და ნეიტრალურია ან შეფასების მთხოვნელი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში გადაცემის სტუმრები ხშირად ახალი ხელისუფლების მიმართ ლოიალური დამოკიდებულებით გამოირჩევიან. თუმცა, ზოგ შემთხვევაში წამყვანები მწვავე კითხვებსაც სვავენ. მაგალითად, 31 ოქტომბრის გადაცემაში სოზარ სუბარის მისამართით დაისვა შედარებით მწვავე კითხვები მერაბ მეტრეველის მიერ: „გაჩნდა ასეთი შიში, რომ სოზარ სუბარს შეიძლება, გაექცეს სიტუაცია ხელიდან იმიტომ, რომ პატიმრები, როგორც კი იგრძნეს ცოტა სიტუაციის მიშვება, მაშინვე გადავარდნენ მეორე უკიდურესობაში. სად შეიძლება იმ შუალედის მოძებნა, სადაც არ იქნება პატიმრების წამება, მაგრამ არ იქნება უდისციპლინობა?“ „მოადგილეები რა პრინციპით შეარჩიეთ? ერთ-ერთ თქვენს მოადგილეზე წერენ სოციალურ ქსელებში, რომ ზონდერი იყო, სოდთან აქტიურად თანამშრომლობდა, დარბევებში მონაწილეობდა 7 ნოემბრის და ა.შ.“

სხვა მხრივ, წამყვანები ცდილობენ სტუმრები თანაბარ მდგომარეობაში ჩააყენონ. 7 ნოემბრის გადაცემაში, სადაც სტუმრად ბაჩო ახალაიას ადვოკატი იყო, მის მიმართ წამყვანები არ იყვნენ განსაკუთრებით კრიტიკულები, მიუხედავად ელისაშვილის განსაკუთრებით უარყოფითი დამოკიდებულებისა ბაჩო ახალაიას მიმართ.

„ცხელ ხაზში“ თემიდან გადახვევები არ ფიქსირდება. რაც შეეხება სიძულვილის ენისა და შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი გამონათქვამების გამოყენებას, წამყვანების მხრიდან მსგავსი რამ თვალში საცემი არ არის. თუმცა, ალექო ელისაშვილი გამოირჩევა თავისი ირონიული ტონითა და არაკორექტული გამოთქმებით.

წამყვანები ინფორმაციის გადმოცემისას ძირითადად წყაროს ასახელებენ. ნათია ორველაშვილი ყოველთვის ასახელებს. თუმცა, ალექო ელისაშვილი ხშირად წყაროს დაუსახელებლად საუბრობს. მაგალითად, 4 ოქტომბრის გადაცემაში ელისაშვილი ამბობს: „როგორ იყო, რო ხელისუფლება დაიბარებდა მდიდარ ტიპებს, ეტყოდა, რო ეხლა წადი, შენივე ფული დახარჯე და, ბოლოს ასე იყო ყოველ შემთხვევაში, 99 პროცენტს თავისი ფული ახარჯვინეს.“

## მეცხრე არხი

მეცხრე არხზე მონიტორინგის ქვეშ მოხვდა სამი გადაცემა. ესენია: „ახალკაცის მატრიცა“, „კონსილიუმი ვასილ მალაფერიძესთან“ და „ეკა ბერიძის მთავარი კითხვა“. სამივე თოქშოუ ყოველ სამუშაო დღეს გადის ეთერში. აღსანიშნავია, რომ მეცხრე არხზე მონიტორინგის ქვეშ მყოფ არც ერთ თოქშოუში არც ერთი სტუმარი ყოფილა ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან ან ყოფილი მთავრობის შემადგენლობიდან. სამივე შემთხვევაში სტუმრები ძირითადად ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ადამიანები არიან. შესაბამისად, მონიტორინგის პერიოდში ამ არხზე პოლიტიკური ბალანსი დაცული არ არის და გადაცემაში სტუმრად არ არიან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიციისა და შეხედულებების მქონე ადამიანები/პოლიტიკოსები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გადაცემის წამყვანები არ განმარტავენ, თუ რა მიზეზით ხდება ეს: რესპონდენტები არ თანხმდებიან გადაცემაში სტუმრობაზე თუ არის რაიმე სხვა მიზეზი.

გოგი ახალკაცისა არ გამოირჩევა სტუმრების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებით. თითქმის არასოდეს უწევს მათ ოპონირებას და ხშირად, როგორც ვერბალურად ისე არავერბალურად, ჩანს მისი სოლიდარობა და დადებითი დამოკიდებულება სტუმრებისა და მათ მიერ გამოთქმულ აზრების მიმართ. ამიტომ გადაცემები ძირითადად დინამიურია და ცხარე განხილვებისა და კამათის გარეშე მიმდინარეობს. განსაკუთრებით ადვილი შესამჩნევია მისი უარყოფითი დამოკიდებულება ე.წ. „ძველი ხელისუფლებისა“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ და დადებითი დამოკიდებულება ქართული ოცნების წევრების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პერიოდში „კონსილიუმის“ არც ერთი გადაცემა არ ყოფილა მიძღვნილი ისეთი თემებისთვის, როგორცაა ბაჩო ახალაიას დაპატიმრება და სახალხო დამცველის არჩევის საკითხი. ვასილ მალაფერიძე ცდილობს, რომ მისი გადაცემა არ იყოს პოლიტიკური ტოქშოუ, თუმცა მის მიერ შერჩეული თემები და სტუმრები ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ კი ირიბად უკავშირდება პოლიტიკას. მალაფერიძე აქტიურადაა გადაცემაში ჩართული, ის ხშირად ერთვება სტუმრების საუბარში, აწყვეტინებს მათ და აფიქსირებს თავის მოსაზრებებს. ჟურნალისტის ასეთი ჩართულობა ხანდახან ხელისშემშლელიც კია სტუმრებისთვის.

*ეკა ბერიძე სხვადასხვა გადაცემებში ხან აქტიურია სვამს საკმაოდ მწვავე შეკითხვებს და ეძიება სტუმრებს, ხანაც პასიურია - არ სვამს ბევრ კითხვას და ძირითადად ეთერს უთმობს სტუმრებს, რომ მათ საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ. იგი უმეტეს შემთხვევაში უბრალოდ მოდერატორია გადაცემაში. ის ღიად არ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას. თუმცა, ზოგჯერ შეკითხვის ფორმულირების დროს საკუთარ შეფასებებსაც ავლენს.*

### **„ახალკაცის მატრიცა“**

„მატრიცა“ მეცხრე არხის თოქშოუა, რომელიც ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ყოველდღე გადის საღამოს 7 საათზე და მისი წამყვანია გოგი ახალკაცი. ჩვეულებრივ, „მატრიცა“ ორ-სამ ნაწილადაა დაყოფილი და თითოეულში მხოლოდ ერთი სტუმარია წარმოდგენილი.

29 სექტემბერი - 12 ნოემბრის პერიოდში გასული გადაცემები შემდეგ თემებს ეხებოდა:

- არჩევნები (წინასაარჩევნო გარემოს შეფასება, არჩევნების გაყალბება და გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლა),
- ახალი პარლამენტის პირველი სხდომა
- ძველი და ახალი ხელისუფლება (პენიტენციალურ სისტემაში მოსალოდნელი ცვლილებები, ეკონომიკა, 2013 წლის ბიუჯეტი, სასამართლო სისტემა, განათლების და მეცნიერების სისტემა, სპორტის განვითარება, ახალი სადაზღვეო სისტემა, ახალი ხელისუფლების დამოკიდებულება ოკუპირებული რეგიონებისადმი, საგარეო პოლიტიკური კურსი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები)
- ქართული მედია და ტელე სივრცე,
- სახალხო დამცველის კანდიდატები,
- ბაჩო ახალაიას დაპატიმრება,
- ადამიანის უფლებები, (მსჯავრდებულები, დევნილები)
- საპროტესტო აქციების ტალღა ქვეყნის მასშტაბით,

- ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნები და სხვა.

29 სექტემბერი - 12 ნოემბრის პერიოდში „მატრიცაში“ ნაკლებად შეიმჩნევა სტუმრების მრავალფეროვნება. გასულ გადაცემებში, პრაქტიკულად, საერთოდ არაა წარმოდგენილი ოპოზიცია. მხოლოდ 12 ოქტომბრის გადაცემას სტუმრობდა თავისუფალი საქართველოს ლიდერი, კახა კუკავა. თოქშოუში არავინ ყოფილა ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან ან ყოფილი მთავრობიდან წარმოდგენილი. რაც შეეხება სხვა სტუმრებს, მონიტორინგის პერიოდში გადაცემას სტუმრობდნენ: ახალი მთავრობისა და მმართველი გუნდის წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები, პოლიტოლოგები, იურისტები, მედიის წარმომადგენლები, სახალხო დამცველის კანდიდატები და სხვა. ამ პერიოდში იყო შემთხვევები როდესაც გადაცემის მესამე ბლოკის თემა სრულიად აპოლიტიკური იყო და ამიტომ

როგორც უკვე აღინიშნა გადაცემაში ყოველთვის ხელისუფლების წარმომადგენლები ან მათ მიმართ ლმობიერად განწყობილი სტუმრები არიან მიწვეული, ამიტომ საპირისპირო აზრის დაფიქსირება ძალიან იშვიათია. აქვე აღსანიშნავია, რომ ახალკაცი არასდროს ხსნის იმის მიზეზს თუ რატომაა მხოლოდ ერთი მხარე წარმოდგენილი გადაცემაში ამა თუ იმ თემის განხილვისას.

ჟურნალისტი არ გამოირჩევა სტუმრების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებით. თითქმის არასოდეს უწევს მათ ოპონირებას და ხშირად, როგორც ვერბალურად ისე არავერბალურად, ჩანს მისი სოლიდარობა და დადებითი დამოკიდებულება სტუმრებისა და მათ მიერ გამოთქმულ აზრების მიმართ. ჟურნალისტი მოწვეულ სტუმრებს, თითქმის ყოველთვის, აძლევს საშუალებას თავიანთი აზრი თავისუფლად დააფიქსირონ, არ ზღუდავს მათ და არ აწყვეტინებს საუბარს. კითხვის დასმის შემდეგ ახალკაცი სტუმრებს საკმაოდ დიდ დროს უთმობს სასაუბროდ და თითქმის არასოდეს ერევა მათ მსჯელობაში. აქედან გამომდინარე, თავად წამყვანი უფრო ხშირად პასიურია გადაცემის პროცესში. არ შედის აქტიურ დიალოგში სტუმრებთან, კითხვის დასმის შემდეგ ის უბრალოდ უსმენს სტუმრის ვრცელ მსჯელობას. შეიძლება ითქვას, რომ გადაცემის განმავლობაში ძალიან ცოტა კითხვას სვამს.

მისი კითხვები უმეტეს შემთხვევაში არ არის მომთხოვნი. ჟურნალისტი ძირითადად საუბრის მიმართულებას უთითებს მათ, ხშირად სტუმრის მიერ გამოთქმულ აზრს თავადაც აგრძელებს. ამიტომ გადაცემები ძირითადად დინამიურია და ცხარე განხილვებისა და კამათის გარეშე მიმდინარეობს. ახალკაცი, როგორც წესი ოპონირებას არ უწევს სტუმრებს განსხვავებული პოზიციიდან. თუმცა, ხანდახან მის მიერ დასმული კითხვები წარმოაჩენს ორი მხარის პოზიციას და სტუმრისგან საკითხის ორი კუთხით გაანალიზებას მოითხოვს. ჟურნალისტი ხშირად ცდილობს დაზუსტებული და სიღრმისეული ინფორმაცია მიიღოს სტუმრისგან და ამიტომ ჩაძიების შემთხვევებიც ხშირია.

მიუხედავად იმისა, რომ გოგი ახალკაცი ცდილობს თავისი საკუთარი მოსაზრება სხვადასხვა საკითხთან მიმართებაში ღიად არ დააფიქსიროს, მისი პოზიცია ხანდახან მაინც შეიმჩნევა. განსაკუთრებით ადვილი შესამჩნევია მისი უარყოფითი დამოკიდებულება ე.წ. „ძველი ხელისუფლებისა“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ და დადებითი დამოკიდებულება კოალიცია ქართული ოცნებისა და ბიძინა ივანიშვილის მიმართ. ხშირად ჩანს მისი პოზიცია მის შეკითხვებსა და მსჯელობაში. წამყვანის ეს ტენდენციურობა ყველაზე მეტად მის მონოლოგში, რომელსაც „მოკლე რემარკა“ ქვია იქ იკვეთება.

აღსანიშნავია, რომ სხვაობა არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ გასულ გადაცემებს შორის ძალიან დიდი არ არის. თუმცა, არჩევნებამდე ახალკაცი უფრო ხშირად გამოხატავდა საკუთარ პოზიციას ღიად, არჩევნების შემდეგ კი უფრო პასიური და თავშეკავებული გახდა.

რაც შეეხება სიძულვილის ენას, „მატრიცა“-ში ასეთი შემთხვევები ფაქტიურად არ გვხვდება.

*„კონსილიუმი ვასილ მაღლაფერიძეთან“*

„კონსილიუმი“ მეცხრე არხის თოქშოუა, რომელიც ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ყოველდღე გადის საღამოს 8 საათზე და მისი წამყვანია ვასილ მაღლაფერიძე. გადაცემა რამდენიმე ნაწილისგან, ე.წ. სეგმენტისგან შედგება. ჩვეულებრივ, გადაცემას ერთი, ორი ან სამი რესპონდენტი სტუმრობს.

გასული გადაცემები ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორცაა:

- წინასაარჩევნო ვითარება საქართველოში (კოალიცია ქართული ოცნების შემაჯამებელი აქცია თბილისსა და ქუთაისში)
- არჩევნები და არჩევნების შედეგები (ეგზიტპოლები, დარღვევები არჩევნებზე, გაყალბების ტექნოლოგიები)
- კოალიცია ქართული ოცნების სამომავლო გეგმები,
- „ყინწვისის საქმის“ დეტალები,
- ახალი მინისტრთა კაბინეტი,
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მომავალი,
- კანონმდებლობა (ნარკომანია, არქიტექტურა, აზარტული თამაშები)
- სასწავლებლებში არსებული მდგომარეობა (უნივერსიტეტიდან პროფესორების და სკოლებიდან დირექტორების პოლიტიკური ნიშნით განთავისუფლება)
- პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვის ვადა,
- ადამიანის უფლებები (ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ რეპრესირებული პოლიტიკოსები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების უფლებები)
- ახალი სასამართლოს კონცეფცია,
- ცვლილებები სასჯელაღსრულებით სისტემაში (კანონი ამნისტიის შესახებ)
- კულტურული მემკვიდრეობის საკითხი და სხვა

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პერიოდში „კონსილიუმის“ არც ერთი გადაცემა არ ყოფილა მიძღვნილი ისეთი თემებისთვის, როგორცაა ბაჩო ახალაიას დაპატიმრება და სახალხო დამცველის არჩევის საკითხი.



რაც შეეხება მოწვეულ სტუმრებს, გადაცემას არავინ სტუმრობდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან. ოპოზიციის დანარჩენი ნაწილი მხოლოდ რამდენიმეჯერ იყო წარმოდგენილი თოქშოუში ამომრჩეველთა ლიგის და თავისუფალი საქართველოს სახით. დანარჩენ სტუმრებს შორის კი იყვნენ: ექსპერტები, მედიის წარმომადგენლები, იურისტები, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები. გამონაკლისის სახით მხოლოდ 12 ოქტომბერს იყვნენ გადაცემაში ოზურგეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის უფროსი ისააკ ლომთათიძე და პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე სამეგრელო-ზემო სვანეთში ვახტანგ ცხადაია.

წამყვანი ცდილობს, რომ მისი გადაცემა არ იყოს პოლიტიკური ტოქშოუ, თუმცა მის მიერ შერჩეული თემები და სტუმრები ზოგჯერ პირდაპირ, ზოგჯერ კი ირიბად უკავშირდება პოლიტიკას. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ გადაცემა დაუბალანსებელია. რაც იქიდან გამომდინარეობს, რომ თოქშოუში არასოდეს არიან წარმოდგენილი განსხვავებული პოზიციის მქონე სტუმრები. სტუმრების უმრავლესობა არის არალოიალურად განწყობილი ყოფილი ხელისუფლების მიმართ და გადაცემის უდიდესი ნაწილი სწორედ ძველი სისტემის კრიტიკას ეთმობა. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ მაღლაფერიძეს არ განუმარტავს არც ერთ გადაცემაში, თუ რა არის ამის მიზეზი - სტუმრის მიერ უარის თქმა გადაცემაში მონაწილეობაზე თუ რამე სხვა. ამას ისიც ემატება, რომ ჟურნალისტი თითქმის არასოდეს უწევს სტუმრებს ოპონირებას განსხვავებული პოზიციიდან. ამ ყველაფრიდან გამომდინარე „კონსილიუმი“ მშვიდად, ყოველგვარი მწვავე დისკუსიების გარეშე მიმდინარეობს.

მაღლაფერიძე აქტიურადაა გადაცემაში ჩართული, ის ხშირად ერთვება სტუმრების საუბარში, აწყვეტინებს მათ და აფიქსირებს თავის მოსაზრებებს. ჟურნალისტის ასეთი ჩართულობა ხანდახან ხელისშემშლელიც კია სტუმრებისთვის. ეს დროის თვალსაზრისითაც ჩანს და ნათელია, რომ ჟურნალისტის საუბრის დრო თითქმის არ ჩამოუვარდება სტუმრისთვის დათმობილ დროს. ის ღიად გამოხატავს საკუთარ შეხედულებებს სხვადასხვა საკითხებზე და ამით კარგად ჩანს თავად ჟურნალისტის პოზიცია. მაგალითად 1 ოქტომბრის გადაცემაში წამყვანი მთელი გადაცემის განმავლობაში ულოცავდა ყველას არჩევნებში გამარჯვებას:

„ვულოცავ მთელ საქართველოს მოსახლეობას ამ მოსალოდნელ და ნანატრ გამარჯვებას და მართლაც იმედი ვიქონიოთ და ყველანაირი საფუძველი არსებობს იმისა რომ საქართველოში იწყება ახალი პოლიტიკური წელიწადი, ახალი ერა და ქვეყანაში დაიწყება ვითარება, როდესაც დაისადგურებს სამართლიანობა.“

თუმცა, იყო შემთხვევები, მაგალითად 19 ოქტომბერს, როდესაც გადაცემაში სტუმრად იყო ექიმი მერაბ ხიდაშელი, რომელსაც ბლოკის განმავლობაში მხოლოდ ორი კითხვა დაუსვა წამყვანმა და საკუთარი აზრიც არ გამოუთქვამს.

თითქმის ყველა შეკითხვას, რომელსაც ვასილ მაღლაფერიძე სვამს, უკეთებს საკმაოდ ვრცელ შესავალს, სადაც ჩანს მისი მოსაზრებები კონკრეტულ საკითხებზე. ხანდახან კითხვის დასმის დროს ჟურნალისტი ისეთ ფორმულირებას აკეთებს, რომ აშკარაა მისი დამოკიდებულება და ის უბრალოდ მოითხოვს სტუმრისგან დაეთანხმოს მის მიერ ჩამოყალიბებულ მსჯელობას.

მაგალითად: 12 ოქტომბრის გადაცემაში ვასილ მაღლაფერიძე კითხვით მიმართავს პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილეს სამეგრელო-ზემო სვანეთში ვახტანგ ცხადაიას: „მე მინდა უბრალოდ მოსახლეობისთვის დამიდასტუროთ, რომ გუბერნატორის ინსტიტუტის ოპოზიციაში ყოფნა თავისთავად არის ნონსენსი და აბსურდი. ხომ ესეა? უბრალოდ დამიდასტურეთ ამის შესახებ, რომ მოსახლეობა უფრო მშვიდად იყოს.“

გადაცემაში, არც ისე ხშირია ჩადიების შემთხვევები, თუმცა ხანდახან ასეთი შემთხვევებიც გვხვდება. მაგალითად, 12 ოქტომბრის გადაცემაში წამყვანმა საკმაოდ მკაცრი ტონით მოითხოვა სტუმრისგან პასუხი ერთ-ერთ კითხვაზე, რომელზე პასუხიც მანამდე ვერ მიიღო:

(სტუმარი: ოზურგეთის გუბერნატორის ადმინისტრაციის უფროსი ისააკ ლომთათიძე.)  
ჟურნალისტი უკვე რამდენჯერმე შეეხო გურიის რწმუნებულის პოლიტიკურ კუთვნილებას: „ბატონო ისააკ, თქვენთან თანდათან დავამთავრებ, მაგრამ ჩვენ არა ვართ ეხლა ჟენევაში და არა ვართ მოლაპარაკებებზე და მე მაინც, ეს პატარა ქვეყანაა და მაინც ველოდებოდი, რომ უფრო ნათელ პასუხებს მომცემდით. იმიტომ, რომ, მართალი გითხრათ, არც მაყურებელი არის მაინცდამაინც პატარა ბავშვი და ყველა ვხვდებით. მე გეკითხებით მარტივად, რომ

თქვენი გუბერნატორი, როგორც იცით, აპირებს ოპოზიციაში გადასვლას? აპირებს გადადგომას? რა პოზიციაზე დგას? ის არის პოლიტიკური ფიგურა. რამე ხომ არ იცით. თუ არ იცით შეგიძლიათ მიპასუხოთ, რომ არ იცით მისი გეგმების შესახებ.”

ასევე ხშირად ეძიებოდა და დამატებით კითხვებს უსვამდა მაღლაფერიძე ანდრო ბარნოვს 29 ოქტომბრის გადაცემაში, რათა უფრო ამომწურავი ინფორმაცია მიეღო. კითხვები საკმაოდ მწვავე და მომთხოვნი იყო.

„იყო თუ არა პოლიტიკური დევნის ნიშნები და თუ დაინტერესებულხართ ამ ამბით?“

„თუ დაინტერესდით თქვენ, ბატონი ბელქანია, რომელიც იყო დეკანი თქვენამდე, რატომ წავიდა ამ თანამდებობიდან?“

ხდება ისეც, რომ წამყვანი ჩამიებასთან ერთად აფიქსირებს თავის პოზიციასაც, აკეთებს შეფასებას და სუბიექტურად აფასებს გარკვეულ საკითხებს.

31 ოქტომბერი „ანუ, ჩვენ მანამდეც... უკაცრავად, ჩაგეკითხებით უბრალოდ, აი ის კორპუსები რომ არის, ამას დიდი არქიტექტურა არ უნდა და ერთმანეთზე რომ არის მიმდგარი, და ერთი სამხარეულო რომ მეორე საძინებელშია შესული, და ეზო რო არა აქვს, და მანქანის ადგილი რო არაა და უხარისხო როა, ეს საბჭოთა მთავრობის მიერ იყო დამტკიცებული?“

არის ისეთი შემთხვევები, რომ როდესაც წამყვანი სტუმრებისგან (მაგალითად სკოლის დირექტორებისგან) ცდილობს ინფორმაციის დაზუსტებას რჩება შთბეჭდილება, რომ ამას წამყვანი პრობლემის უფრო მძაფრად წარმოჩენის მიზნით აკეთებს.

12 ნოემბერი: „თქვენ იყავით არჩეული დირექტორი და მხარს გიჭერდათ სამეურვეო საბჭო, რომელიც გარკვეულწილამდე გმირულად დადგა. თქვენ რატომ დაწერეთ განცხადება? საიდან მოგივიდათ რომ განცხადება დეგეწერათ? თქვენ იყავით არჩეული დირექტორი. ვადა, როგორც ვხვდები, დღემდე გაქვთ... არ მოუხსნიხართ და თქვენ დაწერეთ განცხადება?... ქალბატონო ლელა, ძან გთხოვთ ეხლა მითხარით რატომ დაწერეთ განცხადება? ეხლა სულ სხვა არის, დღეს არის 12 ნოემბერი. პირადად კოკა სეფერთელაძემ მოგთხოვათ? [განათლების ყოფილი მინისტრის მოადგილე] უკაცრავად პასუხია, დეტალებში იმალება ეშმაკი, ის

მოვიდა თქვენთან თუ თქვენ დაგიძახათ? და რა გირჩიათ? და რამე მუქარა იყო თუ არ დაწერდით [განცხადებას] ან მინიშნება მაინც?

როგორც უკვე აღინიშნა წამყვანის მხრიდან ოპონირება სხვადასხვა საკითხებზე ფაქტიურად არ ფიქსირდება. ამის ერთ-ერთი საკმაოდ თვალსაჩინო მაგალითია 12 ნოემბრის გადაცემა, რომლის პირველ ნაწილში ქუთაისიდან ჩართული იყო ეკა ბესელია. წამყვანმა 11 წუთი მთლიანად მას დაუთმო, მისთვის არცერთი კითხვა არ დაუსვამს და საკმაოდ ბევრი მაღლობა გადაუხადა გადაცემაში მონაწილეობისა და ინფორმაციის მოწოდებისთვის. ამ მონოლოგში ეკა ბესელიამ წარადგინა მისი კომიტეტის მიერ ინიცირებული კანონპროექტი ამნისტიის შესახებ, ისაუბრა მის უპირატესობაზე და გააკრიტიკა წინა ხელისუფლება ამ კანონის არასამართლიანობის გამო. წამყვანს არ დაუსვამს არცერთი კითხვა ამ კანონპროექტის შესახებ და არ უცდია განსხვავებული პოზიციის წარმოჩენა, იგი არცერთხელ არ ჩარეულა ბესელიას საუბარში.

ასევე, 22 ნოემბრის გადაცემის ბოლო ბლოკში, სადაც გადაცემის სტუმარი, ისტორიკოსი პაატა სურგულაძე, პარლამენტარიზმის ისტორიაზე საუბრობდა, მთელი ამ ბლოკის განმავლობაში წამყვანი მხოლოდ ახსენებდა სტუმარს დროის სიმცირის შესახებ, სხვა კუთხით წამყვანი მის საუბარში არ ჩარეულა.

თუმცა 1 ნოემბრის გადაცემაში, როდესაც სატუმრები იყვნენ ნატო გოგლეია, გურია ნიუსის ჟურნალისტი და მარინა კაჭარავა, ფსიქოლოგი მაღლაფერიძემ სცადა საკითხი ოპონენტების კუთხიდანაც დაენახა.

„ნატო, მეორეს მხრივ, ნაციონალური მოძრაობის დღევანდელმა ხელმძღვანელობამ რამდენჯერმე გააკეთა განცხადება, რომ თითქოს ქართული ოცნება ახდენს ზეწოლას და მათ ძალით გადმოჰყავთ ოცნებაში ეს... გნებავთ საკრებულოს წევრები...“

(სტუმარი მარინა კაჭარავა) „თქვენ გეტყვიან მაინც, რომ ეს არის მისი პიროვნული არჩევანი და ჩვენ პიროვნების თავისუფლების შეზღუდვის უფლება არ გვაქვსო, ამას გეტყვიან ოპონენტები.“

სიძულვილის ენა ან შეურაცხყოფელი/დამამცირებელი გამოთქმები წამყვანის მხრიდან თითქმის არ ფიქსირდება.

„კონსილიუმი“ უმეტესად მიყვება წინასწარ გამოცხადებულ თემებს და სტუმრებიც რელევანტურად ჰყავს შერჩეული. რაც შეეხება წამყვანის მიერ მოწოდებული ინფორმაციის წყაროს დასახელებას, ძირითადად ინფორმაციის წყარო არ სახელდება.

### **„ეკა ბერიძის მთავარი კითხვა“**

„მთავარი კითხვა“ მეცხრე არხის თოქშოუა, რომელიც ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით ყოველდღე გადის საღამოს 10 საათზე და მისი წამყვანია ეკა ბერიძე. ჩვეულებრივ, „მთავარი კითხვა“ ორ ნაწილადაა გაყოფილი, რომელიც ერთ კონკრეტულ თემას ეძღვნება და თითოეულში მხოლოდ ერთი სტუმარია წარმოდგენილი.

მონიტორინგის პერიოდში (29 სექტემბერი-12 ნოემბერი) გასული გადაცემები ძირითადად შემდეგ თემებს ეხებოდა:

- არჩევნები (არჩევნების დღე, ეგზიტპოლები, არჩევნების გაყალბება, არასამთავრობოების ანგარიში)
- „ქართული ოცნების“ შემაჯამებელი აქცია თბილისსა და ქუთაისში,
- უშიშროების საბჭოს მდივნის შეხვედრა ქართული ოცნების ლიდერებთან,
- გურჯაანში მომხდარი ტრაგედია,
- ახალი მინისტრთა კაბინეტი,
- პრეზიდენტისა და ბიძინა ივანიშვილის სამუშაო ჯგუფების შეხვედრა პრეზიდენტის სასახლეში,
- განათლების და მეცნიერების სისტემის რეფორმები,
- საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის ფუნქციები,
- უმრავლესობის და უმცირესობის ურთიერთობა ახალ პარლამენტში,
- ტელეკომპანია იმედში მიმდინარე ცვლილებები,

- 2006 წლის კოდორის სპეცოპერაციის დეტალები,
- საპროტესტო აქციების ტალღა,
- საკონსტიტუციო ცვლილებები,
- პრეზიდენტის უფლებამოსილებების შეზღუდვა,
- ხელისუფლების ცვლილება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მომავალი სავარაუდო გეგმა,
- მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში,
- ბაჩო ახალაიას დაკავება,
- მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები,
- საგარეო ურთიერთობები (რუსეთთან ურთიერთობა),
- პრეზიდენტისა და პრემიერ მინისტრის პარალელური ვიზიტი ევროპაში.

რაც შეეხება „მთავარი კითხვაში“ მოწვეულ სტუმრებს, ისინი ნაკლები მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ. პოლიტიკური სპექტრიდან თოქშოუში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ახალი მთავრობისა და კოალიცია ქართული ოცნების წევრები, ზოგი წევრი ამ პერიოდში რამდენიმეჯერ სტუმრობდა გადაცემას. (მაგ.: სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი და იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი 5-5-ჯერ იყვნენ გადაცემის სტუმრები). მონიტორინგის პერიოდში გასულ გადაცემებს პრაქტიკულად არ სტუმრობდა ოპოზიციის წარმომადგენელი. მხოლოდ ერთ გადაცემაში სტუმრად იყო ირაკლი ბათიაშვილი სახალხო კრებიდან. რაც შეეხება „მთავარი კითხვის“ სხვა სტუმრებს, ესენი იყვნენ: ექსპერტები, მედიის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და იურისტები.

შესაბამისად, მონიტორინგის პერიოდში პოლიტიკური ბალანსი დაცული არ არის და გადაცემაში სტუმრად არ არიან ფუნდამენტურად განსხვავებული პოზიციისა და შეხედულებების მქონე ადამიანები/პოლიტიკოსები.

თვითონ ჟურნალისტი ხან აქტიურია გადაცემის მსვლელობისას და სვავს საკმაოდ მწვავე შეკითხვებს, ასევე ეძიება სტუმრებს, ხანაც პასიურია - არ სვავს ბევრ კითხვას და ძირითადად ეთერს უთმობს სტუმრებს, რომ მათ საკუთარი პოზიცია დააფიქსირონ.

ეკა ბერიძე უმეტეს შემთხვევაში უბრალოდ მოდერატორია გადაცემაში. ის ღიად არ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას. თუმცა, ზოგჯერ შეკითხვის ფორმულირების დროს საკუთარ შეფასებებსაც ავლენს.

ჟურნალისტი საშუალო სიხშირითაა გადაცემაში ჩართული. ხან უფრო ინტენსიურად უსვამს გადაცემის სტუმრებს კითხვებს, ხანაც პასიურია და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეთერს უთმობს რესპონდენტებს სასაუბროდ. ძირითად შემთხვევაში ეკა ბერიძე უბრალოდ მოდერატორია და თავის დამოკიდებულებას პირდაპირ არ ავლენს. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ჟურნალისტს თოქშოუში სტუმრად თითქმის ყოველთვის ქართული ოცნების წარმომადგენელი/მხარდამჭერი ან მსგავსი პოზიციის მქონე სტუმრები ჰყავს და მათ მომთხოვნი შინაარსის კითხვებსაც ხშირად არ უსვამდა, შეიძლება ვივარაუდოთ მისი პოზიცია. ამასთან ერთად, ჟურნალისტი შეკითხვის ფორმულირებაში ზოგჯერ საკუთარ მსჯელობასაც ავითარებს, სადაც მისი შეფასების დანახვაა შესაძლებელი. მაგალითად, 30 ოქტომბრის გადაცემაში ეკა ბერიძე ამბობს: „პროკურატურა იყო ერთ-ერთ ყველაზე ნდობადაკარგული და პოლიტიზირებული სტრუქტურა საქართველოში.“

გადაცემის სტუმრები თანაბარ მდგომარეობაში არიან. წამყვანს არცერთი სტუმარი არ შეუზღუდავს საუბრისას და საკუთარი აზრის დაფიქსირებისას. იქიდან გამომდინარე, რომ გადაცემაში სტუმრად არ ჰყოლია განსხვავებული პოზიციის მქონე სტუმრები, ხშირ შემთხვევაში ჟურნალისტი კითხვის დასმის შემდეგ სტუმრებს საკმაოდ დიდ დროს უთმობს სასაუბროდ.

ჟურნალისტის კითხვები საშუალოდ მომთხოვნია. ზოგჯერ გადაცემაში დასმული კითხვები საკმაოდ ლმობიერი პოზიციიდანაა ან ნეიტრალური ფორმატის და რესპონდენტისგან მხოლოდ ინფორმაციის მიღებას ისახავს მიზნად; ზოგჯერ კი წამყვანი სტუმრებს გარკვეულ

ოპონირებასაც უწევს. ნებისმიერ შემთხვევაში კითხვები შინაარსიანია და იმ მომენტისთვის განხილული თემის ირგვლივ აქტუალურ საკითხებს ეხმიანება.

მაგალითად, ჟურნალისტის კითხვები მომთხოვნი იყო 5 ნოემბრის გადაცემაში სოხარ სუბარის (სასჯელაღსრულების მინისტრი) მიმართ: „აქ იყო საუბარი პირის ამოკერვაზე. ერთმანეთს გადაეკერნენ პატიმრები. როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ კარგად მიდის პროცესები?“ „თქვენ იცოდით მისი [ახურჯანია] ბიოგრაფია მანამდე, ვიდრე ის დაინიშნებოდა ამ პოსტზე?“

ჟურნალისტი საშუალო სიხშირით ცდილობს გადაცემაში დააფიქსიროს სტუმრის პოზიციისგან განსხვავებული მეორე აზრი. ეს მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც აღინიშნა, გადაცემაში უმეტესად მხოლოდ ერთი აზრია წარმოდგენილი.

23 ოქტომბრის გადაცემაში ჟურნალისტი ხშირად არ აფიქსირებს განსხვავებულ აზრს, მაგრამ რიგ შემთხვევებში შეიმჩნევა სტუმართან ოპონირების მაგალითები. გადაცემის მეორე ბლოკში ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი ნაციონალურ მოძრაობაზე ამბობს, რომ ეს არანაირი ოპოზიცია არაა და ძველი სისტემის რედირექტია, ჟურნალისტი პასუხობს: „თუმცა, ისევ გავიმეორებ, რომ დღეს ისინი ასრულებენ ოპოზიციის როლს პარლამენტში, ნუ კრიტიკულები არიან ყოველ შემთხვევაში.“

9 ნოემბრის გადაცემის მეორე ბლოკში, როცა ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე ავლებს პარალელს, რომ წინა ხელისუფლებაც შევიდა რუსთავი 2-ში, ეკა ბერიძე განსხვავებულ აზრს აფიქსირებს: „თუმცა, ამ შემთხვევაში საუბარია ტელევიზიაზე, ქალბატონო ხათუნა, რომელიც ხალხის ფულით ფინანსდება. რუსთავი 2 - ეს იყო კერძო ტელეკომპანია.“

ოპონირებად აღიქმება ისიც, რომ წამყვანი ცდილობს ახლადარჩეულ მინისტრებს ესაუბროს იმ მოსალოდნელ სირთულეებზე, რომელიც მათ შეიძლება შეექმნათ. მაგალითად, 8 ოქტომბრის გადაცემაში ეკა ბერიძე ირაკლი ღარიბაშვილს მიმართავს: „როგორ გააკონტროლებთ, თუკი დარჩებიან სამინისტროში ისეთი ჩინოვნიკები, რომლებიც, მართალია, თავისუფლები იქნებიან თქვენი პოლიტიკური ზეგავლენისგან, მაგრამ ძველი



პოლიტიკური გუნდის ზეგავლენისგან არ იყვნენ თავისუფალი და შეგიძლონ ხელი, მაგალითად, მუშაობაში?“

იმავე გადაცემის მესამე ბლოკში წამყვანი მაია ფანჯიკიძეს მიმართავს: „თუმცა, რუსეთისთვის მუდმივად მიუღებელი იყო საქართველოს ინტეგრაცია ნატოში. ამის შესახებ ღია განცხადება აქვს, მაგალითად, დიმიტრი მედვედევს გაკეთებული. როგორ აპირებთ, აი, ამ პრობლემის შემოტრიალებას ისე, რომ ნატოში სწრაფვა რუსეთისთვის არ იქცეს მიუღებელ მიზნად?“

„მთავარ კითხვაში“ თემიდან აცდენა არ ფიქსირდება. გადაცემა დაანონსებული თემის ან თემების გარშემო მიმდინარეობს და სტუმრებიც თემასთან რელევანტურები არიან. წამყვანის მიმიკასა და ჟესტებში უმეტესად არ იკვეთება მიკერძოებულობა. სხვადასხვა თემაზე საუბრისას ეკა ბერიძე წყაროს ყოველთვის უთითებს. გადაცემის წამყვანი არ იყენებს სიმულვილის ენას ან დამამცირებელ გამოთქმებს. სტუმრების მხრიდანაც არ ფიქსირდება მსგავსი შემთხვევები.